პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 ოთხშაბათი 26 იანვარი № 21 (16758) ფასი 2 კაპ. 1977

დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი შესახვედრად

შრომითი ნობათები — საბჭოთა ხალხს!

საიუბილეო წლის ყოველი დღე — მხოლოდ დამკვრელური!

კომუნისტის პოლიტიკური თვითგანათლება

საბჭოთა ხალხის მიღწევები განუხრელად არის დაკავშირებული ლენინის უკვდავი იდეების განხორციელებასთან. მარქსისტულ-ლენინური რევოლუციური თეორია ახალი საზოგადოების მშენებლებისათვის აქტიური, მძლეთამძლე ძალა, სამყაროს შეცნობისა და გარდაქმნის ქმედითი იარაღი გახდა. ჩვენი პარტიის წესდებით განსაზღვრული თვითეული კომუნისტის ერთ-ერთი მთავარი მოვალეობაა ღრმად ეუფლებოდეს ამ თეორიას, იმაღლებდეს იდეურ დონეს.

„მარქსიზმ-ლენინიზმის მასობრივი შესწავლა, — აღნიშნა პარტიის XXV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — თანამედროვე ეტაპზე საზოგადოებრივი შეგნების განვითარების უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა“. ამას ნათლად აღასტურებს პარტიული განათლების სიხტემის, აგრეთვე, კომკავშირული პოლიტგანათლების, მშრომელთა ეკონომიური სწავლების, კომუნისტური შრომის სკოლების, საბალხო უნივერსიტეტების ფართო განვითარება. მილიონობით კომუნისტი და უპარტიო მიზანსწრაფულად ეუფლება მარქსის, ენგელსის, ლენინის იდეურ მემკვიდრეობას, პარტიის ისტორიულ გამოცდილებას, თეორიასა და პოლიტიკას მათს ორგანულ ერთიანობაში. სწავლება მიმდინარეობს კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან, სკკპ XXV ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმის მიერ დასახულ კონკრეტულ ამოცანებთან მჭიდრო კავშირში. განსაკუთრებით ზრუნავენ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაღრმავებისათვის, მისი თეორიული დონის ამაღლებისათვის.

სწავლების ქმედითობა პარტიას უწინარეს ყოვლისა მიაჩნია ადამიანთა საზოგადოების აქტივობის შემდგომ ამაღლებად, იმად, რომ მიღებული ცოდნა იქცეოდეს ცხოვრების პოზიციად, იყოს კომუნისტური მსოფლმხედველობის, პატრიოტული და ინტერნაციონალური გრძნობების აღზრდის საშუალება. და აქ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პოლიტიკური თვითგანათლება, რომელიც შეიცავს სისტემატურ მუშაობას წიგნზე, პარტიულ დოკუმენტებზე, საზოგადოებრივ მოვლენათა თეორიული გაანზრება.

მრავალი წლის წინათ, როცა ხვერდლოვის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტის მსმენელთა წინაშე გამოდიოდა, ვ. ი. ლენინმა თქვა: „აგრეთვე იმედი მაქვს, რომ საუბრებისა და ლექციების შესავსებად განსაზღვრულ დროს დაუთმობთ მარქსისა და ენგელსის თუნდაც ზოგიერთ უმთავრეს ნაწარმოებთა წაკითხვას“. ზუსტად იყო აღნიშნული პირველწყაროებზე მუშაობის მიზანიც, პრობლემის მიმართ საკუთარი აზრის, შეხედულების შემუშავების მნიშვნელობა: „მხოლოდ მაშინ, თუ თქვენ ისწავლით დამოუკიდებლად გაერკვეთ ამ საკითხში, — მხოლოდ მაშინ შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ საკმაოდ მტკიცე ხართ თქვენს რწმენაში და შეგიძლიათ საკმაო წარმატებით დაიცვათ იგი ყველას წინაშე და ყოველთვის“.

PRAVDA

25 იანვრის მოწინავე

მას შემდეგ საბჭოთა ადამიანების განათლება, კულტურული დონე განუზომლად შეიცვალა. მაგალითად, ავიღოთ ასეთი ციფრები. უმაღლესი, დაუმთავრებელი უმაღლესი და სრული საშუალო განათლების მქონე კომუნისტთა ხვედრითი წონა სკკპ XXIV და XXV ყრილობებს შორის პერიოდში 56,3-დან 65,3 პროცენტამდე გაიზარდა. არსებითად ყოველი მეორე კომუნისტი ჩვენს თქვსმეტმილიონიან პარტიაში უმაღლესი ან საშუალო განათლების მქონე ცოდნის რომელიმე დარგის სპეციალისტია. ყოველივე ეს დამოუკიდებელი სწავლისათვის — რევოლუციური თეორიის დაუფლების ძირითადი მეთოდისათვის — სახავს ჭეშმარიტად უსაზღვრო შესაძლებლობებს. სწორად იქცევიან ის პარტიული კომიტეტები, პროპაგანდისტები, რომლებიც, აწყობენ და კონტროლს უწევენ რა სასწავლო პროცესს, მთავარ ყურადღებას უთმობენ კომუნისტთა დამოუკიდებელ მომზადებას, მეცადინეობის აქტიურ ფორმებს: თეორიულ და სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს, სემინარებს, პრაქტიკული დავალებების შესრულებას, რეფერატების მომზადებას, სოციალურ-ეკონომიურ ანალიზს.

სწავლისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება როგორც წესი, აძლიერებს შემოქმედებითს ძიებას შრომაში. მოსკოვის ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის ქარხანაში თოსნობას „ხარისხის ხუთწლედს — მუშური გარანტია“, მაგალითად, ბევრად შეუწყვეს ხელი პარტორგანიზაციის, პროპაგანდისტების მტკიცე ლონისძიებებმ; რომლებიც მიზნად ისახავენ მსმენელებს გამოუშუშაონ მეათე ხუთწლედში კოლექტივის ამოცანებთან სასწავლო მასალის დაკავშირების, დამოუკიდებელი გააზრების მისწრაფება და ჩვევები. საქმისადმი ასეთი მიდგომა ყოველნაირი მხარდაჭერის, ფართო გავრცელების ღირსია. იგი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს ახლა, პასუხსაგები ამოცანების შესაბამისად, რომლებიც დასახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ.

ისევე როგორც ყოველ სერიოზულ საქმეში, თვითგანათლებაშიც მიუღებელია ზერელობა და უსისტემობა, კამპანიურობა და ფორმალიზმი. მოფიქრებული დაგეგმვა, მუდმივი კონტროლი, თემატური ნაშრომები საპირო ლიტერატურის აღნიშვნით, კომუნისტებისათვის დამბარების გაწევა ინდივიდუალური გეგმების შემუშავებაში — ყოველივე ეს მეცადინეობის ხელმძღვანელების, პოლიტიკური განათლების სახლებისა და კაბინეტების პირდაპირი მოვალეობაა. უფრო აქტიურად უნდა ეხმარებოდნენ მსმენელებს თეორიული ცოდნის დაუფლებაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი.

პოლიტიკური თვითგანათლების საკითხები უფრო ხშირად უნდა განიხილებოდეს პირველადი და საამქრო პარტორგანიზაციების, პარტიული ჯგუფების კრებებზე, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭიროს საწარმოო დებულებათა შესრულების შესახებ კომუნისტთა ინფორმაციების განხილვის დროს. ამასთან პოლიტიკური მეცადინეობის სრულყოფა უნდა უკავშირდებოდეს ადამიანის პროფესიულ ზრდას, ადამიანებისადმი მის დამოკიდებულებას, კომპეტენტურობას, დისციპლინირებასა და ინიციატივას. მხოლოდ იდეური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ერთიანობით ყალიბდება ადამიანი, რომელიც ჩვენი დროის მოთხოვნების დონეზე დგას, — ყოველმხრივ განვითარებული და მომზადებული ახალი სამყაროს მშენებელი.

ასეთი ერთიანობის მიღწევაში მთავარი, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია თვით კომუნისტებზე. პარტიული სწავლების სისტემასა და ეკონომიური განათლების სხვადასხვა ფორმაში წლევანდელი მეცადინეობა მიმდინარეობს პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლისა ზემოქმედებით, საბჭოთა ადამიანების ერთსულოვანი მისწრაფებით ღირსეულად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის 60 წლისთავს. და რაც უფრო ღრმად ჩასწვდება თვითეული მთავარი ლენინური იდეების საგანძურს, თავის მუშაობას შეახამებს პარტიის პოლიტიკასთან და ცხოვრების ბობოქარ რიტმთან, ცოდნას პრაქტიკული საქმეებით შეასხამს ხორცს, მით უფრო სწრაფად ვივლით კომუნისტური მშენებლობის დიადი გზით.

დიდმნიშვნელოვანი კრებული

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოსცა კრებული „სკკპ ideოლოგიური მუშაობის შესახებ“. კრებულში დაბეჭდა სკკპ XXV ყრილობის რეზოლუცია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში“, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1971-1976 წლების პერიოდის დადგენილებები, აგრეთვე 1971 წლამდე მიღებული ზოგიერთი დოკუმენტი.

შეჯიბრების წინა ხაზზე

მხოლოდ პირველი ხარისხის

ბური გაგარინის სახელობის კომუნისტური შრომის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა ერთ-ერთი საუკეთესოა თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში“. იგი ცვლის დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს, ჩინებული ხარისხის პროდუქციას უშვებს.

ამ კოლექტივის წევრია მღებავი თინა კურცხალია, რომელიც ცვლის დავალებებს 110 პროცენტით ასრულებს.

ახლა კომკავშირელი გოგონა წარმატებით დგას დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ შრომითს ვახტზე. იგი მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას უშვებს.

სურათზე: თ. კურცხალია.
ვ. მორგუნოვის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეს ღღეები სოფლად

ცხვრის დოლოგაა ივრისპირეთში

წარმატებით მიმდინარეობს დოლი წითელწყაროს რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში. იმაზე, თუ როგორ ჩაატარებენ მწყემსები ამ დიდმნიშვნელოვან კამპანიას, დამოკიდებულია ფარების პროდუქტიულობის გადიდება.

წითელწყაროელმა მეცხოველეებმა სოფლის მეურნეობის მუშაკებისა და ქვეყნის ყველა მშრომელისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილის პასუხად გადაწყვიტეს სამშობლოს მისცენ მეცხვარეობის მნიშვნელოვნად მეტი პროდუქცია, ვიდრე შარშან. აქვთ საკმაო საკვები. მეცხვარეებს გადაეცათ 5.800 ტონა სილოსი, დაახლოებით ექვსი ათასი ტონა სენაჟი, 3.500 ტონა თივა.

შარშან სოფელ გამარჯვების ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის გ. ივანინძის ბრიგადამ ყოველ ას ნერბზე მიიღო 104 ბატკანი, გეგმით გათვალისწინებული 84 ნაცვლად, თუშური ჯიშის ყოველ ცხვარზე გეგმით გათვალისწინებული სამი კილოგრამის ნაცვლად გაპარსეს თითქმის 4.800 გრამი მატყლი. წელს მწყემსები აპირებენ შარშანდელ მოკლას გადაჭარბონ ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

სურათზე: წითელწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვების შრომის წითელი დროშის ორდენსანი კოლმეურნეობის სარეალი გაიოზ ივანინძე და მწყემსი ომარ ალიევი ათვალიერებენ ახლად მოგებულ ბატკნებს.

ვ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ძეძებენ რმგზერვებს

თელავი. (საკ. კორ.). წინდის საქსოვი ფაბრიკის (დირექტორი ლ. ხკანაძე) კოლექტივმა მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით დაიწყო ხუთწლედის მეორე წელიწადი.

ფაბრიკის მშრომელები შეუდგნენ ეფექტიანობის ახალ-ახალი რეზერვების ძიებას და გადაწყვეტეს წლიურს სამშობლოს მისცენ 573 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

ბევრმა მუშამ და ქვეოსტატმა, საუბილეო წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში რომ ჩაება, ვალდებულება აიღო ხუთწლედი ორნახევარ-სამ წელიწადში შეასრულოს.

ახალი წლის პირველი 20 დღის შედეგები თვალსაჩინოა.

ა. თვალიაშვილი.

ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ

გაზაფხულს — გამართული ტექნიკა!

თესვისათვის ემზადებიან

ბარდაანი. („კომუნისტის“ ხაკ. კორ.). თელეთის ექსპერიმენტულ საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ა. რაზმაძე) ახალი ძალით გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება. გაზაფხულის სამუშაოებს შეუფერხებლად ჩატარებისათვის წესრიგში მოჰყავთ ტრაქტორები, გუთნები და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მოიმარაგეს ყველა სახის საჭირო თესლი.

სარემონტო სახელოსნოში შეუფერხებლად მუშაობენ ზეინკლები, ხარატები, მექანიზატორები. 45 ტრაქტორიდან მზად არის 40. ახლა რემონტზე მომუშავეები ვ. ვახტანგიშვილი, ზ. ასლამაზოვი და შ. ბადალოვი დარჩენილ 5 ტრაქტორის რემონტზე მუშაობენ და გადაწყვიტეს 7 დღეში დაამთავრონ შეკეთება.

საგაზაფხულო კულტურების დასათესად ახალმეკეთებულ ტრაქტორებით 500 ჰექტარის ნაცვლად მზრალად მოიხნა 645 ჰექტარი. მექანიზატორებმა ივანე, არჩილ და დავით ძმანაშვილებმა გუშინ 25 იანვარს საშემოდგომო თივთივიანი მარცვლეული კულტურების ნათესებში თვითოეულმა 40 ტონა სასუქი შეიტანა. ამით მათ დღიური ნორმა ორმაგად გაანაღდეს.

შეჯიბრება გაჩაღდა

წითელწყარო. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დამკვრელურად შრომობენ იმისათვის, რომ მეათე ხუთწლედის მეორე წლის გაზაფხულს მოემზადონ ჯანსაღი ტექნიკა. „სოფლტექნიკისა“ და საზოგადოებრივი მეურნეობების სახელოსნოებში შეუფერხებლად მიმდინარეობს ტრაქტორების, გუთნების, სათესების, კულტივატორების, მისაბმელების რემონტი.

შეჯიბრებაში დაწინაურდნენ სოფელ ჯაფარიძის (თავმჯდომარე — სოციალისტური შრომის გმირი ნ. ყორიაშვილი), ზემო ქედის (თავმჯდომარე — სოციალისტური შრომის გმირი ა. კობაძე) და სხვა სოფლების კოლმეურნეობები. მათ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ძირითადად მზადა აქვთ. მოიმარაგეს ყველა სახის კონდიციური თესლი. ახლა მექანიზატორებს შემოდგომის ჯეჯილებში სასუქები შეაქვთ.

ზემო ქედის კოლმეურნეობის მექანიზატორებს ერთი ტრაქტორით ჯეჯილში ყოველდღე ნაცვლად 20 ტონისა 35 ტონაზე მეტი სასუქი შეაქვთ. ზემოქედელებმა გადაწყვიტეს წლეულს ჰექტარზე 45 ცენტნერი პერეულის მოსავალი მიიღონ და ამით შარშანდელს 3 ცენტნერით გადააჭარბონ.

დამკვრელური შრომით

აბაშა. („კომუნისტის“ კორ.). წლეულს კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა გადაწყვიტეს აწარმოონ 22 ათასი ტონა სიმინდის მარცვალი, ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ 44 ცენტნერი მოსავალი ნაცვლად შარშან მიღებული 39,4 ცენტნერისა, ასევე გაადიდონ ეთეროზეთოვანი კულტურებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალი. პირობის შესასრულებლად რაიონში ფართოდ გაჩაღა სოციალისტური შეჯიბრება. ნორიოს, პირველი მაისის, ტყვირისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში, სუჯუნის საბჭოთა მეურნეობაში მექანიზატორები არემონტებენ ტრაქტორებსა და სხვა ტექნიკას. მათ სათანადო კონდიციამდე აიყვანეს სიმინდისა და სხვა საგაზაფხულო კულტურების თესლი.

მომჭირნეობა — ყველგან, ყველა უბანზე!

საქართველოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები ჩაებნენ შეჯიბრებაში, რომელიც ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ინიციატივით გაიშალა სათბობის, ენერგო და თბორესურსების ეკონომიისათვის. ისინი კისრულობენ ახალ ვალდებულებებს, რომ რაც შეიძლება მაღალი მაჩვენებლებით უპასუხონ ზემდგომი ორგანოების მიერ ამ მნიშვნელოვან საკითხზე მიღებულ დადგენილებას.

ყაირათიანობის გზით

ვიშრომოთ მომჭირნედ, ყაირათიანად, გამოუშვათ მაღალხარისხოვანი სამკერვალო ნაწარმი — ამ დევიზით ჩაება დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი.

— წარმოების ყველა უბანზე გავაჩაღეთ შეჯიბრება მასალების, ელექტროენერგიის ეკონომიისათვის, ეფექტიანობის ამაღლების რეზერვების ასამოქმედებლად, — თქვა საუბარში ფაბრიკის დირექტორმა ი. მაჭავარიანმა, — ჩვენს კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს წლიური გეგმა 21 დეკემბერს შეასრულოს და გეგმის გადამეტებით მომზმარებელს 500 ათასი მანეთის პროდუქცია მიაწოდოს, დაზოგოს ათასობით კილოვატსაათი ელექტროენერგია და რაც შეიძლება მეტი სობობი.

ფაბრიკის კოლექტივი დროს უსწრებს. ყოველდღიური დავალებები გადაჭარბებით სრულდება. („კომ“. კორ.).

მკაცრი რეჟიმით

ჩარხსამშენებლო გაერთიანების ქარხნებში ბაიშალა შეჯიბრება ვიშიგი: მომჭირნედ ხარჯოთ ყოველი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, ყოველი კუბური მეტრი გაზი, ყოველი კილოგრამი პირობითი საწვავი. ჩარხშენებლები ენთუზიაზმით გამოუხმაურნენ ბათუმელ ნავთობგადამამუშავებელთა ინიციატივას ამ საჭირო რესურსების ეკონომიისათვის.

— ვცდილობთ ეკონომიის მკაცრი რეჟიმი წარმოების ყველა რგოლში განხორციელდეს, ეს აუცილებელია, რადგან წლეულს ამ მხრივ მეტად საპატიო ვალდებულება გვაქვს ნაკისრი, — თქვა ჩვენთან საუბარში საწარმოს მთავარმა ინჟინერმა მ. წეროძემ, — გაერთიანების კოლექტივებმა გეგმის გადამეტებით უნდა დაზოგონ 700 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია და 150 ტონა პირობითი საწვავი.

ჩარხშენებლები იანვრის განვლილ პერიოდში ვალდებულების შესრულების გრაფიკს იცავენ.

რ. ქორთუა.

მეტი ნავთობი, მეტი ეკონომია

საქართველოს ნავთობის საწარმოო გაერთიანების ჭაბურღილებმა მეათე ხუთწლედის მეორე წლის პირველი თვის 20 დღეში მოუწველეს ბას მიაწოდეს 6 ათასი ტონა ზეგეგმითი ნავთობი.

— მეტი ნავთობი სამშობლოს, ვიშრომთ მომჭირნედ და ყაირათიანად, ამ დევიზით შრომობენ ჩვენი მენავთობეები — თქვა ჩვენთან საუბარში საქნავთობის გაერთიანების მთავარმა ინჟინერმა ვ. ჩერნოვმა, — იანვრის განვლილ პერიოდში ჭაბურღილების ბურღვის გრაფიკსაც ვიცავთ და ეკონომიისა და მომჭირნეობის დავალებებსაც.

ამ დღეებში ჩვენი კოლექტივები ახალ ვალდებულებებს კისრულობენ, ელექტროენერგიის ეკონომიისათვის მთელ რიგ ჭაბურღილებზე გამოვრთეთ დამატებითი სიმძლავრეები, რომელთა არარსებობაც არ შეგვიშლის ხელს. ჭაბურღილების ცალკეული კოლექტივები ეძებენ ეკონომიის ახალ რეზერვებს.

შედეგიც კარგია, იანვრის 20 დღეში დაზოგილია 53,2 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია. („კომ.“ კორ)..

საგჭოთა კავშირ-კორეის მოლაპარაკება

24 იანვარს კრემლში მოლაპარაკებას შეუდგნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი და კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური კომიტეტის წევრი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერი პაკ სენ ჩერი, რომელიც საბჭოთა მთავრობის მოწვევით მეგობრული ვიზიტით არის ჩამოსული მოსკოვში.

გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში მიმდინარე მოლაპარაკების დროს მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია თავიანთ ქვეყნებში კომუნისტური და სოციალისტური მშენებლობის შესახებ. დაიწყეს იმ საკითხთა განხილვა, რომ შემდგომ განავითარონ საბჭოთა კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის თანამშრომლობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა დარგებში.

მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს მეგობრულ, საქმიან ვითარებაში მიმდინარეობდა, განაგრძობდნენ საბჭოთა კავშირ-კორეის თანამშრომლობის გაღრმავებასთან დაკავშირებული პრინციპული საკითხების განხილვას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ორი ქვეყნის ეკონომიური ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

გრძელდებოდა აზრთა გაზიარება ორივე მხარისათვის საინტერესო საერთაშორისო საკითხებზე.

ამავე დღეს სსრ კავშირის მთავრობამ კრემლის დიდ სასახლეში სადილი გამართა ამხანაგ პაკ სენ ჩერის პატივსაცემად.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილად იყვნენ ამხანაგები ა. ნ. კოსიგინი, ა. ა. გრომეკო, კ. ტ. მაზუროვი, კ. თ. კატუშევი, სხვა ოფიციალური პირნი.

კორეის მხრივ იყვნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საბჭოს პრემიერის თანმხლები პირნი.

სადილზე, რომელშიც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, ამხანაგებმა ა. ნ. კოსიგინმა და პაკ სენ ჩერმა წარმოთქვეს სიტყვები, რომლებიც ყურადღებით მოისმინეს და ტაშით შეხვდნენ.

25 იანვარს პაკ სენ ჩერი ვ. ი. ლენინის მავზოლეუმში იყო და გვირგვინით შეიმკო იგი.

პაკ სენ ჩერმა გვირგვინი მიიტანა კრემლის გალავანთან დაკრძალული უცნობი ჯარისკაცის საფლავზე. (საკდესი).

გაიხსნა საერთაშორისო თათბირი

მხატვრისა და კრიტიკოსის შემოქმედებითი შრომის სოციალური პასუხისმგებლობა — ასეთია ძირითადი თემა საერთაშორისო თათბირისა, რომელიც 25 იანვარს გაიხსნა მოსკოვში. თათბირში, რომელიც კულტურული თანამშრომლობის გეგმების შესაბამისად ეწყობა, მონაწილეობენ ათი სოციალისტური ქვეყნის ხელოვნებათმცოდნეებისა და მხატვრული კრიტიკოსების დელეგაციები.

თათბირის მონაწილეებს მიესალმა სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ტ. ტ. სალახოვი. (საკდესი).

ლოსაპეის VIII საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 25 იანვარი. (საკდესი). დღეს კრემლის დიდ სასახლეში მუშაობა დაიწყო დოსაააფის VIII საკავშირო ყრილობამ.

პრეზიდიუმში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. პ. რიაბოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილეები, თვალსაჩინო მხედართმთავრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანები, სოციალისტური ქვეყნების თავდაცვით-სპორტული ორგანიზაციების დელეგაციათა ხელმძღვანელები.

დელეგატებმა და სტუმრებმა უდიდესი აღფრთოვანებით აირჩიეს ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

სსრ კავშირის დოსაააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ სამგზის საბჭოთა კავშირის გმირმა ავიაციის მარშალმა ა. ი. პოკრიშკინმა გააკეთა მოხსენება „სსრ კავშირის დოსაააფის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და თავდაცვითი საზოგადოების ორგანიზაციათა მორიგი ამოცანები სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად“. (საკდესი).

მთავრობის ჯილდოების გადაცემა

□

რესპუბლიკის მოწინავე ადამიანებს — ღირსეული დამსახურებისათვის

□

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში მთავრობის ჯილდოები და სიგელები საპატიო წოდების მინიჭების შესახებ გადაეცათ მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს, პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკებს, მოსახლეობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის აქტიურ მონაწილეებს, რომლებმაც ეს ჯილდოები დაიმსახურეს ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა თ. ვ. ლაშქარაშვილმა წაიკითხა შესაბამისი ბრძანებულებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა დაჯილდოებულთ გადასცა ხალხთა მეგობრობის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენები, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები.

გადაეცათ აგრეთვე სიგელები: სსრ კავშირის სახალხო არტისტის, საქართველოს სსრ ფეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის, დამსახურებული მასწავლებლის, პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული მასწავლებლის, პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული ოსტატის საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ მწერალი რ. ა. მარგიანი, თბილისის ხ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტი ლ. გ. ჭყონია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ა. ი. ჩახტიური, თბილისის № 103 ზოგადსაგანმანათლებელო საშუალო სკოლის მასწავლებელი ვ. ა. კასნაგი. მათ მხურვალე მადლობა გადაუხადეს კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას მათი შრომის ესოდენ მაღალი შეფასებისათვის, აღუთქვეს, რომ მაღალი ჯილდოს პასუხად კიდევ უფრო თავდადებით იშრომენენ.

პ. გ. გილაშვილმა გულთბილად მიიღოცა დაჯილდოებულთ მან გამოთქვა რწმენა, რომ მიღებული ჯილდოები ახალი წარმატების მიღწევის სტიმული გახდება. (საქინფორმი).

ეფექტიანობა — მთავარი საზრუნავი

აფხაზეთის პარტიულ-საბჭოთა აქტივის კრებაზე

გაიმართა აფხაზეთის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელშიც მონაწილეობდნენ 1976 წლის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი.

შეკრებილთა ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში ერთსულოვნად აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

აქტივის კრების მონაწილეებმა განიხილეს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. საყვარელიძის მოხსენება — იტონომიური რესპუბლიკის შრომელთა 1976 წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების, 1977 წლის სოციალისტური ვალდებულებებისა და იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც გამომდინარეობს კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშების, მექანიზატორებისა და მეცნიერების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, სოფლისათვის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მიმწოდებელი მრეწველობის მუშაკების, საბჭოთა კავშირის ყველა შრომელისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილიდან და „წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, მეათე ხუთწლიების დავალებათა წარმატებით შესრულებისთვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან.

აქტივის კრების მონაწილეებმა საქმიანი სჯა-ბაასი გამართეს ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების შესახებ, აგრეთვე იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ჯერ კიდევ არის მუშაობაში.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი.

კრების მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შრომელთა დელეგაციების ხელმძღვანელების — აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ვ. ცინცაძის, საქართველოს კპ ცხინვალის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის უ. სანაკოევის გამოსვლები, რომლებთანაც 1976 წელს აფხაზეთის ასსრ შრომელებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში იყვნენ ჩაბმული.

აქტივის კრებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის აბრეკეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ხინთბა.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ აფხაზეთის ქალაქებისა და სოფლების შრომელებმა, რომლებიც ენთუზიაზმით შრომობენ სკკპ XXV ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებების შესრულებისათვის, წარმატებით გაართვეს თავი 1976 წლის ძირითად დავალებებსა და სოციალისტურ ვალდებულებებს. აქტიურად იბრძვიან მეათე ხუთწლედის სახალხო-სამეურნეო გეგმებით გადაჭარბებით შესრულებისათვის. სამრეწველო საწარმოებმა ხუთწლედის პირველ წელს ეფექტიანობის ზრდისა და ხარისხის ამაღლების, პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის დავალებები ვადაზე ადრე შეასრულეს. გეგმის გადამეტებით წარმოებულია 13,9 მილიონი მანეთის და რეალიზებულია 11,8 მილიონი მანეთის პროდუქცია. პროდუქციის მატების 80 პროცენტზე მეტი მიღებულია შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად.

სოფლის მეურნეობის შრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის წარმოებისა და დამზადების გეგმები. განსაკუთრებით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს მეჩაიეებმა, რომლებმაც 1976 წელს სარეკორდო მოსავალი მიიღეს — მოკრიფეს და მრეწველობას ჩაბარეს 66,2 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. მაღალ მოსავლებს მიაღწიეს ხუთწლედის პირველ წელს აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვა დარგებში.

ამასთან აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობაში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებები და ხარვეზები, რომლებიც ამუხრუჭებენ წარმოების ზრდის ტემპებს. ეს ტიპები სერიოზულად ჩამორჩება საერთო-საკავშირო და რესპუბლიკურ მაჩვენებლებს.

ბევრი გამოოყენებელი რეზერვია ჩაის გადამამუშავებელ, მეღვინეობის, საკონსერვო, მსუბუქი და კვების, ადგილობრივი მრეწველობის და საკავშირო დაქვემდებარების ცალკეულ საწარმოებში.

კრებაზე მკაცრად და სამართლიანად გააკრიტიკეს იმ მეურნეობათა და უწყებათა ხელმძღვანელები, რომლებიც სუსტად უძღვებიან ეკონომიკის განმტკიცების საკითხებს. ხუთწლედის პირველ წელს, როგორც კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, წარმოების არადამაკმაყოფილებელი ზრდის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი საწარმოო გეგმების მრავალრიცხოვანი კორექტირება იყო. მიუხედავად მკაცრი გაფრთხილებისა, ამ მიზეზ ანტისახელმწიფოებრივმა პრაქტიკამ ფართო გავრცელება ჰპოვა. საკმარისია ითქვას, რომ წლის განმავლობაში 29 საწარმოს ხელმძღვანელები ზემდგომი ორგანოების წინაშე აყენებდნენ საკითხს გეგმების შემცირებაზე.

პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა სათანადოდ ვერ აღიქვეთეს ასეთი მოქმედება. ამის შედეგადაც სამრეწველო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმა შემცირებული აღმოჩნდა. განსაკუთრებით მკვეთრად შემცირდა გაერთიანება „აფხაზთამბაქოს“ საწარმოების გეგმა— 8 მილიონი მანეთით და ქარხანა „სოხუმხილსაწყოსი“ — 950 ათასი მანეთით.

კრებაზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა რუსთაველ მეტალურგთა თაოსნობის გავრცელების საკითხებს. გაიმართა პრინციპული საუბარი. ხაზი გაესვა ყველგან და ყველფერში სოციალისტური დისციპლინის შემდგომი განმტკიცების, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი გაძლიერების აუცილებლობას. აღინიშნა, რომ საგეგმო დისციპლინის დაბალი დონის გამო ზარალობს ეკონომიკა, სუსტია ბრძოლა ელექტროენერგიისა და სათბობის მომჭირნეობით ხარჯვისათვის. საწარმოებში მაღალია გაცდენების, სამუშაოზე გამოუცხადებლობის გამო სამუშაო დროის დანაკარგები; ამ მიზეზით შარშან მრეწველობაში დაიკარგა 70 ათასზე მეტი კაცდღე, რაც 7 მილიონ 300 ათას მანეთზე მეტი ღირებულების საქონლის დანაკლისს უდრის.

აქტივის კრების მონაწილეებმა საჭიროდ ჩათვალეს ხუთწლედის მეორე წელს გაგრძელდეს და ახალ, მაღალ დონეზე ავიდეს აჭარისა და სამხრეთ ოსეთის მშრომელებთან ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება, რესპუბლიკის სხვა ქალაქებთან და რაიონებთან აფხაზეთის ქალაქებისა და რაიონების შრომითი პაექრობა.

აქტივის კრებაზე მიიღეს აფხაზეთის ასსრ მშრომელთა 1977 წლის სოციალისტური ვალდებულებანი, რომლებიც ხუთწლედის მეორე წლის დავალებათა გადამდე უთოო შესრულებას, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრას ითვალისწინებენ.

აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრმა ი. უბილავამ.

აქტივის კრებამ მიიღო რეზოლუცია.

კრების მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის. გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

მისასალმებელი წერილი მიღებულ იქნა აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი.

ი. ბოგბეჩია,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

„კომუნისტის“ რეიდი

ზამთარი მეცხოველთა მკაცრი შემმოწმებელია

□ მოწინავე და ჩამორჩენილი ფერმები □ აი რატომ მცირდება წველადობა, ძვირი ჯდება რძე □ ძროხები ბერწდებიან □ სანიტარულ წესებს არ იცავენ.

დილის ექვსი საათი იყო, ხელვაჩაურის რაიონის ჭარნალის კოლმეურნეობის ფერმაში რომ მივედით. ჯერ კიდევ ბნელოდა. გვეგონა ფერმაში ვერავის ვნახავდით, მაგრამ ასე არ მოხდა. ფერმაში შრომობდნენ, პირუტყვს უვლიდნენ. გაჩაჩხარებულ ელექტრონის შუქზე შთელი ფერმა ხელის გულივით მოჩანდა. თეთრსალათიანი ქალები ძროხებს წველიდნენ, ზოგჯერ გაჯიუტებულ ძროხას მწველავი ტკბილი, ალერსიანი ხმით ამშვიდებდა. რძით სავსე ვედროს ღორღანდგადაფარებულ ბიდონებში ცლიდნენ.

სადგომში სისუფთავე იყო, უკვე მოესწროთ დაგვა და ნაკელის გატანა. მხოლოდ ერთგან შევნიშნეთ, რომ მწველავს მოწველის წინ ძროხა არ გაესუფთავებინა. ბეწვზე ბლომად ეყარა ნახერხი. მწველავი უხერხულ მდგომარეობაში ჩაეყარდა, ვეჭარობდით, მოიმიზეზა. ამჯერად გვარს არ ვასახელებთ, თავად მოიხადა ბოდიში. აღარ გავიმეორებო — შეგვპირდა.

ფერმაში გეგმით 100 სული საქონელი უნდა ჰყავდეთ. ფაქტიურად 140 ჰყავთ. მთლიანად ველის წითელი ჯიშის ძროხებია, თვალს უხარია, როცა მათ უყურებთ. საქონელი მხნედ და ჯანსაღად გრძნობს თავს, კარგი პატრონის ხელში ბლომად იწველიანან. შარშან 156 ტონის ნაცვლად 192 ტონა ჩამოწველეს. თვითოული ძროხიდან 3.000 კილოგრამამდე რძე მიიღეს.

მოწინავეთა შორის ი. დუმბაძე დაგვისახელეს. იგი თხუთმეტ ძროხას უვლის. შარშან 37 ტონის ნაცვლად 43 ტონა რძე ჩამოწველა.

ანალოგიური მდგომარეობაა მეზობელ თხილნარის კოლმეურნეობის ფერმაში, ფერმის გამგე შ. ცინცაძე ადგილზე დაგვხვდა და ფერმის მუშაკებთან ერთად ტრიალებდა. იქ წვილა დაემთავრებინათ და რძე გასაგზავნად მოემზადებინათ. ჭარნალელებისაგან განსხვავებით აქ მთელი წლის საკვების მარაგი მოემზადებიათ და სხვაზე არ არიან დამოკიდებულნი. მოწინავეთა შორის ფერმაში ეკუნა ფერსილიძე დაგიისახელეს, რომელმაც 14 ძროხიდან 43 ტონა ჩამოწველა. აქაც თვითეული ძროხიდან საშუალოდ 3.000 კილოგრამი მიიღეს.

ხელვაჩაურის რაიონში ყველაზე მოწინავეა მახოს კოლმეურნეობის ფერმა (თავმჯდომარე ლ. მჭედლიშვილი, ფერმის გამგე ვ. კირთაძე). აქ საშუალოდ თვითეული ძროხიგან 3.400 კილოგრამი ჩამოწველეს. მოწინავე მწველავი ე. ცინცაძე 11 ძროხას უვლის. თვითეულზე 3.500 კილოგრამზე მეტი რძე ჩამოწველა. მახოელებმა ფერმა ადგილზე დამზადებული თივით მომარაგეს. აქ 4 ჰექტარზე უთოსიათ ბალახი, რომელიც რამდენჯერმი ჯათიბეს: წლეულს კიდევ 13 ჰექტარზე ოათესავენ ბალახს, რაც კიდევ უფრო გაზრდის წველადობას.

მაგრამ ეს ყველა ფერმაზე როდი ითქმის. აჭარისწყლისა და კირნათის კოლმეურნეობების ფერმებს მზრუნველი ხელი აკლია. აქ 1975 წელთან შედარებით რძის წარმოებამ იკლო. აჭარისწყლის კოლმეურნეობაში მარშან, წინა წელთან შედარებით, ერთ საფურაქე ძროხაზე წველადობამ 107 კილოგრამით იკლო, ხოლო კირნათში — 143 კილოგრამით. კარგი პირობები აქვს სანაშენე საბჭოთა მეურნეობას, მაგრამ წინა წელთან შედარებით ერთ საფურაქე ძროხაზე წველადობამ 170 კილოგრამით იკლო.

განთიადის კოლმეურნეობის ფერმაში ტექნიკისა და სისუფთავის საკითხები ვერ მოუგვარებიათ (ფერმის გამგე ს. ბერიძე). ეზო ტალახშია ჩაძირული, ნაკელის მეექანიზებული გატანა არ ხდება. დაგროვილი ნაკელი ტრაქტორითა და მისაბმელით დროდადრო გაიქვთ, რასაც ორმაგი შრომა სჭირდება. ფერმაში 15 ძროხა ჰყავთ. ძროხებს ორი წელია არცერთი ხბო არ მოუგიათ. ეს კი მძიმე ტვირთად აწვება ფერმას. ინარჩუნებენ მხოლოდ იმიტომ, რომ ძროხების სულადობის გეგმა ჰქონდეთ შესრულებული, იმას კი არაფრად დაგიდევენ, ორი წელის განმავლობაში რა ძვირი დაჯდა 15 ბერწი ძროხის შენახვა.

დავათვალიერეთ ქობულეთის რაიონის ზედა ულიანოვკის, წითელი ოქტომბრის, ქვედა ულიანოვკის, ციხისძირის კოლმეურნეობების ფერმები. პარტიის მოწოდებას მეცხოველეობის შემდგომი განვითარების შესახებ, კარგი შედეგი მოჰყვა. ყველგან ჯამუჯობესდა პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა, საკვებით მომარაგება, მეტი ყურადღება ექცევა მომვლელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. საერთო ზრუნვის შედეგი კარგია. ვეღარ ნახავთ გამხდარ, უჯიშო საქონელს, გაიზარდა წველადობა.

მაგრამ, ერთი კი აშკარაა, ჯერჯერობით კოლმეურნეობებისა და ფერმების მესვეურებს დასამშვიდებელი არაფერი აქვთ, ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანებაა. ეს ერთ-ერთი ასეთი ფერმა ზარალიანია, ისინი მძიმე ტვირთად აწვება კოლმეურნეობებს.

რატომ ხდება ასე? იკითხავს ყველა. ეს იმიტომ, ხდება, რომ მათ ძვირი უჯდებათ საკვები, რომელსაც თვითონ კი არ ამზადებენ, ყიდულობენ.

გარდა ამისა, მძიმე შრომატევადი სამუშაოები ჯერ კიდევ ხელით სრულდება. ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონებში მექანიზებულია მხოლოდ დარწყულება და ნაკელის გატანა (ისიც ყველგან არა). მთის რაიონებში მექანიზაცია ოცენებად აქვთ გამხდარი. ზოგიერთი კოლმეურნეობისა და ფერმის ხელმძღვანელი უპასუხისმგებლობასაც იჩენს. ზედა ულიანოვკის ფერმაში არა აქვთ სანაკელე ორმო, ღვარს ნაკელი იქვე ჩამდინარე ღელეში ჩაყქეს.

თითქმის ყველა ფერმაში შეიმჩნევა, რომ ხბორებისათვის მაძღრისად ვერ იმეტებენ რძეს, არა აქვთ რძის შემცველი. ამის მიზეზი იყო, რომ 2-3 თვის ხბორები დაკნინებულან და დაშშეულნი თივას უხალისოდ წიწკნიდნენ.

შარშან წველადობამ იკლო — დაგვისა და ხუცუბნის კოლმეურნეობებში. ავტონომიური რესპუბლიკის მასშტაბით ყოველ 100 სულ ძროხაზე 71 ხბოა მიღებული. ეს დამაფიქრებელი ციფრია. ფერმები უნდა გათავისუფლდეს დაწუნებული, ბერწი და უნაყოფო ძროხებისაგან, რომლებიც მძიმე ტვირთად აწვება ფერმებს და წარმოების ეროვნულზე დანახარჯს ადიდებს. გაუგებრობას ბადებს ქედის რაიონის დოლოგნის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ი. ლორთქიფანიძე) ფერმის ციფრობრივი მონაცემები. 1976 წელს ფერამ რძის წარმოების გეგმა 111 პროცენტით შეასრულა. ეს მაშინ, როცა წინა წელთან შედარებით, რძის წარმოებამ 3.750 კილოგრამით იკლო. ეს ციფრი მთის რაიონის ფერმისათვის დიდია. გეგმის შესრულების პროცენტი საეჭვოა.

პარტიისა და მთავრობის მიერ ბოლო პერიოდში გატარებულ ღონისძიებებს აჭარის მეცხოველეთა მძლავრი შრომითი აღმავლობა მოჰყვა. ისინი ვალდებულებას კისრულებენ, რომ ნაკლოვანებებს მოკლე დროში აღმოფხვრიან და კიდევ უფრო გაზრდიან რძისა და ხორცის წარმოებას, უახლოეს წლებში ფერმებს რენტაბელურს გახდიან.

რეიდის მონაწილენი: ჯ. შამილაძე — გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ განყოფილების გამგე, ძ. ბალაძე — აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სანაშენო საქმის ზოოტექნიკოსი, ო. მურადიშვილი — სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგრონომი, მ. გოგრბილაძე — „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

სსრ კავშირი—ანგოლა: მეტკიცდება ყოველმხრივი თანამშრომლობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების გაერთიანებული სხდომა

24 იანვარს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების გაერთიანებული სხდომა. კომისიებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ურჩიეს რატიფიკაცია უყოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ანგოლის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას, რომელიც 1976 წლის 8 ოტომბერს დაიდო მოსკოვში.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხდნენ ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, დეპუტატი ბ. ნ. პონომარიოვი, კავშირის საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, დეპუტატი კ. თ. კატუშევი. ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, დეპუტატი მ. ვ. ზიმიანინი.

სხდომას დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. ს. ბარკაუსკასი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების თავმჯდომარეები ა. პ. შიტიკოვი და ვ. პ. რუბინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე.

განიხილეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ კომისიებისათვის დასაკვნის გამოსატანად გადაცემული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადება სსრ კავშირისა და ანგოლის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ.

სხდომაზე საბჭოთა მთავრობის ხელით ინფორმაცია ჯაკაკეთა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ, დეპუტატმა ვ. ვ. კუზნეცოვმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ანგოლის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დადება დიდი საგარეო-პოლიტიკური აქტია, არსებითი წვლილია იმ საქმეში, რომ მკვიდრ სამართლებრივ საფუძველზე სასიკეთოდ განვითარდეს სსრ კავშირისა და ანგოლის სახალხო რესპუბლიკის ორმხრივი ურთიერთობა. ხელშეკრულება მოწმობს საბჭოეთის საგარეო-პოლიტიკური კურსის თანმიმდევრულობას, მის ერთგულებას იმპერიალიზმის ძალების, ეროვნული ჩაგრისა და აგრესიის წინააღმდეგ საერთო ბრძოლის მონაწილე მეგობრებისადმი.

სხდომაზე გამოვიდნენ ახალი ამბების სააგენტოს გამგეობის თავმჯდომარე, დეპუტატი ი. ნ. ტოლკუნოვი, „კიზელევანახშირის“ კომბინატის „ტაიგის შახტის“ გვრარაგამყვანთა ბრიგადირი, დეპუტატი ვ. დ. ერნოშკინი, სკკპ კალინინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი დეპუტატი ნ. ს. კონოვალოვი, სომხეთის სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი, დეპუტატი ლ. პ. ფარიბჯანიანი, სკკპ ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, დეპუტატი ბ. ი. არისტოვი, რომლებმაც თქვეს, რომ კომისიების განსახილველად წარმოდგენილი სსრ კავშირ-ანგოლის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა განუხრლად ახორციელებენ სკკპ XXV ყრილობის მიერ განსაზღვრულ საგარეო-პოლიტიკურ კურსს და მშვიდობის პროგრამას, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაშია მოცემული. ხელშეკრულება განამტკიცებს საბჭოთა კავშირისა და ანგოლის მეგობრობისა და ყოველმხრივი ურთიერთობას, რომელიც ჯერ კიდევ იმ წლებში დამკვიდრდა, როცა ანგოლელი ხალხი ეროვნული განთავისუფლებისათვის და იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ იბრძოდა.

გამოსულმა ამხანაგებმა წინადადება წამოაყენეს მოიწონონ სსრ კავშირისა და ანგოლის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის და თანამშრომლობის ხელშეკრულება და მისცენ მას რეკომენდაცია, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააკანონოს იგი.

შეჯამდა რა განხილული შედეგები, გაერთიანებული სხდომის თავმჯდომარემ, ეროვნებათა საბჭოს კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა ბ. ნ. პონომარიოვმა თქვა:

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების წევრთა გამოსვლები მოწმობს, რომ ამ ხელშეკრულებას ყველანი ერთსულოვნად უჭერენ მხარს და იწონებენ.

ტუალმი გამართულ საზეიმო სხდომაზე გამოსვლისას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „საბჭოთა ადამიანები მხურვალედ იწონებენ პარტიის საგარეო პოლიტიკას. მათ იციან, რომ ეს პოლიტიკა სამშობლოს იცავს ომისაგან, შეესაბამება ყველა ხალხის ინტერესებს, სახავს მათ შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ასპარეზს, ემსახურება მთელ პლანეტაზე სოციალური პროგრესის საქმეს“.

საბჭოთა კავშირ-ანგოლის ხელშეკრულების შინაარსი მოლიანად შეესაბამება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარულ და ანტიიმპერიალისტურ კურსს, თქვა შემდეგ ბ. ნ. პონომარიოვმა. ხელშეკრულება შესანიშნავი მაგალითია იმისა, თუ როგორ ხორციელდება პრაქტიკულად მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამა, რომელიც სკკპ XXV ყრილობამ მოიწონა.

ანგოლელი ხალხის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი გამარჯვებაა. აფრიკის ხალხებს ეს გამარჯვება სამართლიანად მიაჩნიათ იმის მაგალითად, თუ რა ნაყოფი გამოაქვს პრაქტიკულად მჭიდრო თანამშრომლობას საბჭოთა კავშირთან, სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, მთელი მსოფლიოს პროგრესულ ძალებთან.

სსრ კავშირისა და ანგოლის მეგობრული ურთიერთობის განვითარებას საფუძვლად უდევს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის მიმდინარე ერთობლივი ბრძოლის მიზნების ერთიანობა, აღნიშნა შემდეგ ბ. ნ. პონომარიოვმა. ამ ურთიერთობისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირ-ანგოლის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის (მპლა) თანამშრომლობის შეთანხმებას — დოკუმენტებს, რომლებსაც ხელი მოაწერეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა და მპლა-ს თავმჯდომარემ ამხანაგმა ა. ნეტომ.

ხელშეკრულება განამტკიცებს სსრ კავშირსა და ანგოლას შორის არსებულ მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის ურთიერთობას, ფართო პერსპექტივებს უსახავს მის შემდგომ განვითარებას ერთმანეთის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე.

25 იანვარი

ფაქტები, პროგლემები

„ამოფრქვევის აქანელი“

საკადესი და უცხოეთის პრესის საკაგენტოები იუწყებიან

აპარტეიდის წინააღმდეგ მეგრძოლთა გადაწყვეტილება

ლისაბონი. (საკადესი). მიმდინარე წლის 16-დან 19 ივნისამდე ლისაბონში გაიმართება მსოფლიო კონგრესი აპარტეიდის პოლიტიკის წინააღმდეგ. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო აპარტეიდის პოლიტიკის წინააღმდეგ მსოფლიო კონგრესის საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტის სხდომამ, რომელიც პორტუგალიის დედაქალაქში მიმდინარეობდა. სხდომის მონაწილეებმა აგრეთვე მოიწონეს რასიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა მოქმედების პროგრამა.

ლისაბონის პრესა ისტორიულს უწოდებს მოსამზადებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებს, აღნიშნავს, რომ „ქვეყანა, რომელიც წინათ თვითონ იყო კოლონიზატორი, ისტორიაში პირველად მართავს მსოფლიო შეხვედრას კოლონიალიზმთან ბრძოლის საკითხებზე“.

სხდომის მონაწილეებმა მოუწოდეს მსოფლიო საზოგადოებრიობას გამალოს ეროვნული განთავისუფლებისათვის მებრძოლ სამხრეთ აფრიკის ხალხებისადმი სოლიდარობის ფართო მოძრაობა.

მომავალი მსოფლიო კონგრესი, რომელიც სოუეტოს მსხვერპლთა ხსოვნის დღეს გაიხსნება, დიდმნიშვნელოვანი წვლილი გახდება სამხრეთ აფრიკასა და მთელ მსოფლიოში ადამიანის უფლებების, თავისუფლების, ეროვნული დამოუკიდებლობის, სოციალური პროგრესისა და მშვიდობის დაცვის საქმეში.

ბაკადესი

ტელეტაიპის ლენტიდან

□

მოლაპარაკება დამთავრდა

● **ლონდონი.** აქ დამთავრდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ჯ. კალაგენისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის ჰ. შმიდტის მოლაპარაკება. დღის წესრიგში ძირითადი იყო იმ ღრმა კრიზისის დაძლევის გზებთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც კაპიტალისტური სამყარო განიცდის.

უმაღლესი დონის შეხვედრამ დამოავლინა მნიშვნელოვანი უთანხმოება ამ პრობლემების გადაჭრისადმი მხარეების მიდგომაში. როგორც მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ჯ. კალაგენმა გამოაცხადა, საჭირო იქნება შემდგომი კონსულტაციები.

ცხოვრება გაძვირდა

● **პარიზი. 12,6 პროცენტით გაიზარდა ფასები საფრანგეთში 1976 წელს.** საზოგადოებრივი აზრის მოტყუებას უწოდებს „ლუმანიტე“ ხელისუფალთა გადაწყვეტილებას „გაეყინათ“ გასული წლის სამი უკანასკნელი თვის ფასები. ამ პერიოდში, პროკავშირული ელა ეროთანების შრომის საყოველთაო კონფედერაციის მონაცემებით, ფასები 2,7 პროცენტით გაიზარდა.

შეტაკება ზღვაში

● **ტოკიო.** ათი კონტეინერი, რომელთაგან თითოეული შეიცავს 50 კილოგრამ დარიშხანს, ზღვაში აღმოჩნდა იაპონიის დასავლეთ სანაპიროსთან ორი გემის შეჯახების დრს. როგორც იაპონიის ხელისუფალთა წარმომადგენელნი აღნიშნავენ, შეიქმნა იმის დიდი საშიშროება, რომ შხამიანი ქიმიური ნივთიერება თევზის მასობრივ მოწამვლას გამოიწვევს ოკეანის ვრცელ უბანზე.

პრეზიდენტის გამოსვლა

კაირო, (საკადესი). ქვეყანაში ამასწინანდელ მღელვარებასთან დაკავშირებით პრეზიდენტმა ა. სადათმა თათბირი გამართა ეგვიპტის ხელმძღვანელ მოღვაწეებთან. „ალ-აჰრამი“ აშუქებს თათბირზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, და აღნიშნავს, რომ პრეზიდენტმა, დაიმოწმა რა მთავრობის მიერ შემოღებულ ეკონომიურ ღონისძიებათა მოქმედების შეწყვეტა, დასძენა, რომ საჭიროა შემოშუშონ გადაწყვეტილება, რათა „გარდაქმნან თვით ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურა“.

ა. სადათმა, როგორც გაზეთი აღნიშნავს, მთავრობას დაავალა გამოიძიოს სხვა საშუალებანი საგადასახადო ტვირთის დეფიციტის ლიკვიდაციისა და ეკონომიკის სტრუქტურის შეცვლისათვის, ამასთან არ შეეხოს იმას, რაც მოსახლეობის ჭამა-სმასთან და ჩაცმა-დახურვასთან არის დაკავშირებული. საგადასახადო დაბეგვრის რეფორმა ფინ უნდა უძღოდეს სხვა ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოს „ეკონომიური ტვირთის სათანადო განაწილება“. საგადასახადო სისტემის რეფორმის პროექტი სამი კვირის ვადაში უნდა წარუდგინონ განსახილველად სახალხო კრებას.

ომბუდსმენი

ეუ. ბონდეილი მოგზაურობს

ბრიუსელი, (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა უ. მონდეილმა, რომელიც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მოგზაურობს, დაამთავრა ვიზიტი ბელგიაში.

ბელგიის დედაქალაქში მას მოლაპარაკება ჰქონდა ბელგიის პრემიერ-მინისტრთან ლ. ტინდემანთან, აგრეთვე შეხვდა ნატოსა და „საერთო ბაზრის“ ხელმძღვანელობას.

მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ გამართულ პრეს-კონფერენციაზე გამოსვლისას უ. მონდეილმა, ერთ-ერთ მთავარ მიზნად ისახავს მიაღწიოს პროგრესს ვენის მოლაპარაკებაზე ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების შესახებ“.

ამერიკის ვიცე-პრეზიდენტისა და „საერთო ბაზრის“ ხელმძღვანელობის მოლაპარაკების ძირითადი თემა ის არის რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის ეკონომიურ გაერთიანებას გაუმწვავდათ ეკონომიური ურთიერთობა, რომელიც „სავაჭრო ომის“ ხასიათს იღებს.

ბონი, (საკადესი). აქ ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი უ. მონდეილი. იგი შეხვდება კანცლერ ჰ. შმიდტსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სხვა წარმომადგენლებს.

ქუჩტერის ქრონიკა

□

„მოსკოვის დღეები“ ვარშავაში

ვარშავა. „მოსკოვის დღეები“, რომელიც ვარშავაში მიმდინარეობს, მდიდარია კულტურული ღონისძიებებით. კულტურისა და მეცნიერების სასახლეში გაიხსნა გამოფენა „მოსკოვი სსრ კავშირის დედაქალაქი“, მუშაობს გამოფენა „პოლონეთ-საბჭოთა კავშირის საბრძოლო თანამეგობრობა“.

დიდ თეატრში მოსკოველი სოლისტების ნ. ავდოშინასა და ვ. ოსიპოვის მონაწილეობით შესრულ

დავამკვიდროთ მკაცრი დისციპლინა და წესრიგი სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში, საზოგადოებრიობის მთელი ძალები მოვახმაროთ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლას.

ბალეგის ✓✓ კონტროლი!

№ 120

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე ითქვა:

მომსახურების სფეროს დარგების საქმიანობის შეფასების ძირითადი კრიტერიუმია არა მარტო გეგმების შესრულება, არამედ ამასთან ერთად და უწინარეს ყოვლისა მოსახლეობის მომსახურების დონე და კულტურა, ის, თუ რამდენად მძლავრია საყოველთაო და შეურიგებელი ბრძოლა გაფლანგვის, დატაცების, მექრთამეობის, მოტყუების, სპეკულაციისა და ყოველგვარი გამოძალვის ფაქტების წინააღმდეგ, რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში სანიმუშო წესრიგის დამყარებისათვის.

საქართველოს სსრ საახალხო კონტროლის კომიტეტში

მშენებლებს — სანიმუშო მომსახურება!

ჟინვალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე მუშა-მოსამსახურეთა სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობისა და მიხი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ თავისი დადგენილების შესრულების შემოწმების შედეგებზე იმსჯელა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა, რომელმაც ამ საკითხზე სათანადო დადგენილება მიიღო.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ტრესტმა „საქჰიდროენერგომშენმა“ და მისმა ჟინვალის სამშენებლო სამმართველომ ამ მხრივ ერთგვარი საბიჯები შეასრულეს, კერძოდ, დადგენილებით გათვალისწინებული 20 დავალებიდან შესრულებულია 15. მათ შორის დამთავრდა 250 ტონა ტევადობის კარტოფილისა და ბოსტნეულის საცავის, 300 კვადრატული მეტრი ფართობის სამრეწველო საქონლის, 300 კვადრატული მეტრი ფართობის სასურსათო საქონლის საწყობების მშენებლობა და ბოსტნეულის მაღაზიის მიშენება, არაგვის მარცხენა მხარეს გაიხსნა მუშათა სასადილო და ა. შ.

ამ სამუშაოთა შესრულებისას წამოჭრილი რთული საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტისათვის შეიქმნა სახალხო კონტროლის ჯგუფების საბჭო, რომელსაც ამ მშენებლობასთან დაკავშირებული ორგანიზაციების სახალხო კონტროლის ყველა დარგობრივი ჯგუფი დაექვემდებარა. შუამავლად იქნა საბჭოს სტრუქტურული სქემა და განისაზღვრა მისი უფლება-მოვალეობანი.

ყოველივე ამან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მშენებელთა სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომ გაუმჯობესებას. მაგრამ, ამასთან ერთად შემოწმებამ ცხადყო, რომ დადგენილების შესრულების საქმეში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია.

ტრესტმა „საქჰიდროენერგომშენმა“ და მისმა „სამოქალაქომშენის“ სამშენებლო სამმართველომ (უფროსი ვ. ყაველაშვილი) არ დაამთავრეს გეგმა — ღონისძიებით გათვალისწინებული 200-ადგილიანი სასადილოსა და 80-ადგილიანი კაფეს მშენებლობა. ამასთან ისიც აღსანიშნავია, რომ დუშეთის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოსა და ჟინვალის ახლადაშენებულ კომბინატში არ მოაწყო კომპლექსური მიმღები პუნქტი. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ კი ამ სამმართველოს არ დამოუყო ფურგონის ტიპის ერთი მიკროავტომობილი, რაც დადგენილებით იყო გათვალისწინებული. ნაკლოვანებებია საზოგადოებრივი კვებისობიექტების პროდუქტებით მომარაგებისა და ხარისხიანი კერძების მომზადების საქმეში.

აღსანიშნავია, რომ „ჟინვალჰესის“ მუშათა მომარაგების განყოფილების ობიექტებს ვაჭრობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული საასორტიმენტო მინიმუმი არა აქვთ. შეფერხებებია კარტოფილით და ბოსტნეულით მომარაგების საქმეში, სუსტად მუშაობს საუწყებო კონტროლი, არის გაფლანგვა-დანაკლისები და ვაჭრობის წესების დარღვევის შემთხვევები.

ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში ვერც დუშეთის სახალხო კონტროლის კომიტეტი, ჟინვალჰესის სამშენებლო სამმართველოსა და მუშათა მომარაგების სახალხო კონტროლის ჯგუფები იჩენენ მოქნილობასა და სიბეჯითეს (თავმჯდომარეები გ. ბაბაცური, დ. კარიაული, ვ. სუთიშვილი).

კომიტეტმა „საქჰიდროენერგო მშენის“ და მისი „ჟინვალჰესის“ მშენებლობის სამმართველოს მიერ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად გატარებული ღონისძიებანი არასაკმარისად ჩათვალა.

ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ სამოქალაქო ბინათმშენებლობის სამმართველოს უფროსის ვ. ყაველაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი განსახილველად ამავე ტრესტის ხელმძღვანელობას გადაეცა. ამასთან სათანადო ღონისძიებების განხორციელება დაევალა ტრესტის მმართველს ი. არობელიძეს, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის პირველ მოადგილეს ა. პაიჭაძეს, ვაჭრობის მინისტრის მოადგილეს გ. ხელაძეს, დუშეთის სახალხო კონტროლის რაიონულ კომიტეტს და „ჟინვალჰესის“ სამშენებლო სამმართველოს ადგილობრივ სახალხო კონტროლის ჯგუფებს.

ცნობად იქნა მიღებული ის, რომ, „ჟინვალჰესის“ მშენებლობის მუშა-მოსამსახურეთა მომარაგების განყოფილების გამგეს ნ. ქარჩაიძეს დუშეთის სახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ საყვედური აქვს გამოცხადებული და იგი, გათვალისწინებულია, რომ მდგომარეობის გამოუსწორებლობის შემთხვევაში მის მიმართ უფრო მკაცრი ზომები იქნება მიღებული.

მაღალი ხარისხისათვის

თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ყაყარდის ფაბრიკის კოლექტივმა ფართოდ გაიჩაღა ბრძოლა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ამ მიზნით ძველ მოწყობილობას სცვლიან უახლესი დიდმწარმოებლური ჩარხებითა და მანქანებით, ნერგავენ შრომის პოწინავე მეთოდებს, ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება მაღალხარისხოვანი პროდუქციის მისაღებად.

ამ მიმართულებით დიდ მუშაობას ეწევიან სახალხო კონტროლიორები. ისინი ფხიზლად ადევნებენ თვალს შრომისა და საწარმოო დისციპლინის დაცვას, გადაჭრით ებრძვიან წუნისმკეთებლებსა და უნიათო მუშაკებს. ერთი სიტყვით, საწარმოს სახალხო კონტროლიორები ენერგიულად მოღვაწეობენ მეათე ხუთწლედში ფაბრიკის კოლექტივის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და სანიმუშო დისციპლინის განმტკიცებისათვის. ფაბრიკის მთელ კოლექტივთან ერთად სახალხო კონტროლიორთა ენერგიულმა შრომამ და საერთოდ საწარმოში გატარებულმა ყველა ღონისძიებამ თავისი ნაყოფი გამოიღო. წლეულს ოთხი სახეობის პროდუქციას წარადგენენ ხარისხის სახელმწიფო ნიშნის მისაღებად.

სურათზე: ფაბრიკის სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრები ნელი მხეიძე, ელზა შუბითიძე და მანანა ქსოვრელი ამოწმებენ გამოშვებული პროდუქციის ხარისხს.

ხ. ედიშერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს სსრ საახალხო კონტროლის კომიტეტი

გადაყრილი ათასეული

მასობრივი შემოწმების მასალებს განიხილავს საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტი

საწარმო, ბაზა, მაღაზია, მომხმარებელი

ახლა ჩვენს რესპუბლიკაში თანმიმდევრული, ეფექტური ღონისძიებები ხორციელდება მასობრივი მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის. შედეგიც უფიფრო საყურადღებოა. მაგრამ ეს ღონისძიებები ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს მწარმოებლთა თანამედროვე მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

ამ მხრივ მდგომარეობა კიდევ უკეთესი იქნებოდა, რომ მასობრივი მოხმარების საქონლის საწარმოების, „წყებების ხელმძღვანელები მთელი შესაძლებლობით და სრული პასუხისმგებლობით ეცდებოდნენ დაკისრებულ მოვალეობას, პროდუქციის ხარისხის ამაღლებას. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ბევრია ტექნოლოგიური პროცესის, სტანდარტების დარღვევით უხარისხო ფართო მოხმარების პროდუქციის გამოშვების შემთხვევები. ასეთი საქონლის ღირებულება მილიონობით მანეთს აღწევს, რაც რესპუბლიკის ეკონომიკას მძიმე ტვირთად აწევს და სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას საგრძნობლად უშლის ხელს.

კონტროლიორთა სარეიდო ბრიგადის შემოწმებით გამოვლინდა, რომ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოები — თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანი“, ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკა, სოხუმისა და ქუთაისის ტყავის კომბინატები წლიდან წლამდე ვერ ასრულებენ ასორტიმენტის გეგმებს. იმის ნაცვლად, რომ საწარმოთა ხელმძღვანელობას არასახარბიელო მდგომარეობიდან თავის დაღწევის ოპტიმალური გზა ეძიებინა, სათანადოდ უზრუნველყო შრომის ორგანიზაცია და გაუმჯობესებინა ტექნოლოგიური პროცესები, ჩამორჩენილობიდან თავის დაღწევის იოლი გზა ირჩიეს — გარეგნების დასაფარავად სავაჭრო ორგანიზაციებს გეგმის ზევით 586 ათასი სხვადასხვა სახის გაუსვლელი ფეხსაცმელი მიაწოდეს.

და მარტო ეს ფაქტები? სარეიდო ბრიგადამ უხარისხო საქონლის დიდძალი რაოდენობა თვით ბაზებსა და საწყობებშიც აღმოაჩინა. მაგალითად, წლების მანძილზე „სექტანსაცმელფაბრიკის“ რესპუბლიკურ ბაზაში დაგროვდა 912,0 ათასი მანეთის გაუსვლელი საქონელი, „საქგალანტერიის“ რესპუბლიკურ ბაზაში—28 ათასი მანეთის, „თბილფეხსაცმელეაქრობის“ სისტემაში—1302,6 ათასი მანეთის უხარისხო საქონელი, რომელთა დამზადებაზე თეუსათასობით მანეთი დახარჯა, მომხმარებელი კი მას ყოველთვის ზურგს აქცევს.

ასეთი საშუხარო ფაქტები სხვა სისტემაშიც ბლომად არის. ცეკავშირის უნივერსალურ ბაზაში აწყვია და მომხმარებლის მოთხოვნით არ სარგებლობს რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა მიერ წარსულ წლებში გამოშვებული მასობრივი მოხმარების ასეათასობით მანეთის პროდუქცია. ამას ისიც დაემატა, რომ 1975 წელს მარტო „ფეხსაცმელეაქრობის“ სისტემაში თვითშესყიდვის წესით შეზიდული 4,3 მილიონი მანეთის საქონლიდან 150,0 ათასი მანეთის პროდუქცია უხარისხო ყამდგა, ჩაწვა და არ საღდება.

განა ასეთი პროდუქციის თვითშესყიდვით შემოტანა დანაშაული არ არის?

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია ის, რომ რესპუბლიკის საწარმოებში 1976 წელსაც დიდი რაოდენობით მზადდებოდა უხარისხო პროდუქცია. მაგალითად, — „თბილტანსაცმელეაქრობის“ სისტემაში ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკიდან მიიღეს 650 ათასი მანეთის ღირებულების ბიწვის საყელოიანი ქალის პალტოები, კრეპლინის კაბები. აქედან არასრულფასოვანი აღმოჩნდა, და როგორც წუნდებული, ფაბრიკას 70,0 ათასი მანეთის საქონელი დაუბრუნდა. ასევე დაუბრუნდა პირველი მაისის სახელობის ფაბრიკას 115, სამკერვალო ფაბრიკა „ამირანს“ 100,5 ათასი მანეთის მამაკაცისა და ბავშვის პალტოები, კოსტიუმები, შარვლები, ქალის კაბები.

შეიძლება უხარისხო პროდუქციის გამოშვება ობიექტური მიზეზით ახსნას? რა თქმა უნდა, არა. რომელ ობიექტურ მიზეზებზე შეიძლება ლაპარაკი, როცა დაწუნებულ პროდუქციას, კერძოდ, ბავშვების შარვლებს დუგმა უკეთმა აკერია, ქალის პერანგების საყელოებში გამამაგრებლების ჩატანება დავიწყნიათ, რის შედეგად ეიფდად დგას და ღირიცება, ხოლო კაბების გვერდით ნაკერები მოჭიმულია და გასწორებისას ძაფები წყდება, ირღვევა. ერთი სიტყვით, ნამზადი ელემენტარულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. ბუნებრივია, ასეთი პროდუქცია არ საღდება.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ ჩატარებული შერჩევითი შემოწმების შედეგად და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მონაცემებით მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოების მიერ იმპორტული ქსოვილებიდან შეკერილი 2,5 მილიონი მანეთის ღირებულების საქონელი ჩაწოლილია და არ საღდება.

სახალხო კონტროლიორთა სარეიდო ბრიგადამ შეამოწმა ისიც, თუ რატომ ზდებენ ხელშეკრულებებს სავაჭრო ორგანიზაციები უხარისხო პროდუქციის მწარმოებელ ორგანიზაციებს.

გამოირკვა, რომ აქ საქმე სულ სხვაგვარად არის: პროდუქციის მწარმოებელი ორგანიზაციები, უმეტესი მომწოდებლები ეფორ ჭერ „მოქნილობას“ იჩენენ, დასამზადებელი საქონლის ნიმუშებს თვითონ დასტრიალებენ, დაკვირვებით ამზადებენ, მისთვის საუკეთესო მასალას არჩევენ და ამგვარად დამზადებული პროდუქცია არა თუ ჩამოფარდება უცხოურს, არამედ ხშირ შემთხვევაში უკეთესიც არის. ხელშეკრულებაც სწორედ ამ ნიმუშების საფუძველზე ფორმდება. მაგრამ სამოლოოდ კი პროდუქციის მასობრივი წარმოების ნებასაც კი ვერ აკმაყოფილებს. ასეთ პირობებში საქონელი კარგავს პირვანდელ სახეს, ხარისხს და ფუჭდება.

ამას წინათ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა ვაჭრობის სამინისტროსთან ერთად შეამოწმა სავაჭრო ქსელი და საზოგადოებრივი კვების ობიექტებში შეზიდული პროდუქციის ხარისხის მდგომარეობა. მოუხედავად იმისა, რომ ამ საკითხს რესპუბლიკაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა და გარკვეული მუშაობა ხორციელდება, ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები და დარღვევებია. შარშან დაწუნებულ იქნა და ხელმორედ გადასამუშავებლად დაუბრუნა საწარმოებს 873 ტონა სხვადასხვა სახის პროდუქტები, 46,7 დეკალიტრი ღვინო, კონიაკი, ლუდი და უალკოჰოლო სასმელები, 201,8 ათასი ცალი კვერცხი. ყოველივე ამის გამო სახელმწიფომ მნიშვნელოვანი ზარალი ნახა.

შემოწმების დროს თბილისის რძის კომბინატში (მთავარი ინჟინერი ზ. ცქიტიშვილი) რძისა და რძის პროდუქტების 285 ნიმუშიდან 58 არ შეესაბამებოდა სტანდარტს, თბილისის ხორცის კომბინატში (მთავარი ინჟინერი ა. დავითაშვილი) — 102 ნიმუშიდან 34. უსტანდარტო აღმოჩნდა ამ ორგანიზაციების პროდუქციის ნაწილი 1976 წლის დეკემბერში შემოწმების დროსაც. უხარისხო პროდუქციის გაშშვების შედეგად მიღებულმა ზარალმა შარშან 11 თვეში თბილისის ხორცკომბინატში 10,8 ათასი მანეთი, ხოლო რძის კომბინატში 1,9 ათასი მანეთი შეადგინა.

მასობრივი შემოწმების შედეგები განიხილა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა. პროდუქციის გამოშვებაზე არასათანადო კონტროლის დაწესებისათვის ხორცისა და რძის კომბინატების მთავარ ინჟინერებს ა. დავითაშვილს და ზ. ცქიტიშვილს თითო თვის ხელფასის ფულადი დარიცხვა დაეკისრა. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის საზოგადოებრივი კვების ტრესტის № 139 გაერთიანების უფროსის ი. კანთელაძის, ორჯონიკიძის კვებისვაჭრობის № 15 მაღაზიის დირექტორის ა. ტროსიანის და № 6 მაღაზიის დირექტორის ტ. კვირკაძის საკითხი, რომლებიც უსტანდარტო პროდუქციით ვაჭრობდნენ, განსახილველად გადაეცა ორჯონიკიძის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტს. ამასთან გაუსვლელნი და ჩაწოლილი საქონლის დაგროვების მიზეზების შემოწმების შედეგების შესახებ მოხსენებითი ბარათი რეგიონებისათვის გაუგზავნა საქართველოს სსრ მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის, ვაჭრობის სამინისტროებს, კავშირის გამგეობას, საქართველოს სსრ უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა საზოგადოებებს და მათ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება დაავალა.

ჩვენი კონსულტაცია

კომპლექსური შემოწმება

საწარმოთა, დაწესებულებათა შემოწმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმა, რომელსაც სახალხო კონტროლის ორგანოები იყენებენ, კომპლექსური შემოწმებაა. ასეთ შემოწმებას სახალხო კონტროლის ორგანოები მაშინ მიმართავენ, როცა წარმოების მარტო ერთი უბანი კი არა, არამედ ფაბრიკის, ქარხნის, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, დაწესებულების მთელი საქმიანობა უნდა შეისწავლონ.

ერთი სიტყვით, კომპლექსური შემოწმების დროს ხდება ობიექტის საწარმოო და საფინანსო საქმიანობის ყველა მხარის ერთდროული შესწავლა. ასეთი შემოწმებისათვის იქმნება კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან სპეციალისტები

კომპლექსური შემოწმების დროს, ჩვეულებრივ, ეწყობა დოკუმენტური და ტექნიკური რევიზიები, ფულად და მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციები, სხვადასხვა გამოკვლევა, ანალიზები, შედარებები...

სოციალისტური სახელწოდების საწარმოს შესახებ დებულების შესაბამისად, ზემდგომი ორგანო დაინტერესებული ორგანიზაციების მონაწილეობით წელიწადში ერთხელ აწყობს წარმოების მთელი საწარმოო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიას. საბიუჯეტო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში კომპლექსური რევიზიები ორ წელიწადში არანაკლებ ერთხელ ხორციელდება.

თავისთავად კომლეურნეობების კომპლექსურ შემოწმებებს რაიონების სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოები აწარმოებენ. ცხადია, სახალხო კონტროლის ორგანოებმა ყოველივე ეს უნდა გაითვალისწინონ თავიანთი კომპლექსური შემოწმებების ორგანიზაციის დროს.

კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

თვითდამშვიდების ტყვეობაში

გვიპასუხებს რესპუბლიკის საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო

სათაურით „თვითდამშვიდების ტყვეობაში“ „კომუნისტის“ სპეციალურ გვერდში „მასების კონტროლით“ გამოქვეყნდა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის დადგენილების შინაარსი რესპუბლიკის საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მუშაობის შესახებ.

ამის გამო საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრმა ნ. ვაშაძემ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტს აცნობა:

კომიტეტის დადგენილება განხილულ იქნა, კრიტიკა სავსებით სწორია, დაისახა საჭირო ღონისძიებანი საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობისა და ექსპლოატაციის გაუმჯობესებისათვის. შემუშავდა ინსტრუქციები, რეკომენდაციები, რომლებიც ყველა ორგანიზაციას დაეგზავნა. სამინისტროს კოლეგია მათი შესრულების მიმდინარეობას სისტემატურად განიხილავს.

ხელოვნურ ფოთოლ, გორის, ხაშურის გამწმენდი ნაგებობები. დაიწყო ფოთის, წყალტუბოს კანალიზაციისა და წყალსადენის მშენებლობა.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის დადგენილების განხორციელების მიზნით საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრმა მიიღო გადაწყვეტილება შესრულებულ საბინაო-ექსპლოატაციურ ობიექტებზე შიდასაქალაქო საკანალიზაციო ქსელებისა და გამწმენდი ნაგებობების სამონტაჟო სამუშაოები. ამ მიზნით სამინისტროში შეიქმნა სპეციალური ტრესტი „საქკომუნსპეცმშენი“. ამასთან ქალაქ თბილისისა და რუსთავის კანალიზაციების მშენებლობის გეგმა 99,1 პროცენტით შესრულდა. ხოლო გამწმენდ ნაგებობათა მშენებლობისა 107 პროცენტით. ცენტრალური გათბობით და ცხელი წყალმომარაგებით უზრუნველყოფილია 180 მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი. შეიქმნა კომუნალური სასტუმროების სამმართველო. ხოლო ქ. გორში მთავრდება პროფილაქტორიუმის მშენებლობა. წელს გათვალისწინებულია ქ. რუსთავში ცხელი წყალმომარაგების ნაგებობის მშენებლობის დაწყება.

უსაფრთხოების ტექნიკის ქმედითობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით სამინისტროსთან შექმნილია აგრეთვე სპეციალიზებული სამონტაჟო ტრესტი, რომელმაც გამწმენდ ნაგებობებზე უკვე მთელი რიგი სამონტაჟო სამუშაოები შეასრულა.

ლიორებმა და მათმა თავკაცმა განგაში ატეხეს, საკითხი კოლმეურნეობის ხელმძღვანელობის წინაშე დააყენეს. დროული და სათანადო ღონისძიებების გატარების შედეგად 30 ტონამდე მინერალური და ორგანული სასუქი ნაკლებებს გადაურჩა. ჯგუფის თავმჯდომარე ამ ღონისძიებით როდი დაკმაყოფილდა, სასუქების არარაციონალურად გამოყენების შემოწმების შედეგები განიხილეს ბრიგადების, განყოფილებების, უბნების სახალხო კონტროლის ჯგუფების გრებებზე, დაისახა კონკრეტული ღონისძიებები მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად. სახალხო კონტროლიორებს დაეკალათა სასუქების სწორად გამოყენებაზე თვალყურის

გამოცდილება

ნდობა

კონტროლიორები შემოწმებაზე მიდიან

დევნება. სწორედ ამის შედეგი იყო, რომ მდგომარეობა ამ მხრივ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, ნაკლოვანებები თითქმის მოლიანად აღმოიფხვრა.

თვითონ აღების მდგომარეობის შესასწავლად მოწყობილი რეიდის შედეგად გამოირკვა, რომ გადმბილის, ნაქერვალის და მოდულის უბნებში ამ სამუშაოებში ნაკლოვანებებია, ბლომად იყო თივის დანაკარგები. ისიც გამოვლინდა, რომ ფერმის მუშაკებს, ყარაულებსა და მებოსტნეებს პირადი სარგებლობისათვის სათიბების ნაკვეთები ჰქონდათ მიცემული. საკითხი ჯგუფის სათანადო ესჯელობის საგნად იქცა, რის შედეგადაც კოლმეურნეობას 10 ჰექტარი სათიბი დაუბრუნდა.

ოლადაურის კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფში, რომელსაც მუსტაფა მაკარაძე ხელმძღვანელობს, 25 კაცია გაერთიანებული. კოლმეურნეობის საქმიანობაზე ყველგან კონტროლის დაწესებისა და რეალური მდგომარეობის სისტემატიურ ინფორმაციისათვის ჯგუფი მიზანდასახულად იყენებს არა მარტო კონტროლიორების, არამედ კოლმეურნეთა წინადადებებს, განცხადებებს, წერილებს. სწორედ კოლმეურნეობის მეცხოველეთა ცალკეული შენიშვნების, წინადადებებისა და საჩივრების ანალიზის საფუძველზე გაირკვა, რომ ფერმებში ყველგან ზუსტად არ იცავენ შრომის ორგანიზაციის წესებს. მოუგვარებელია აღრიცხვა. შემოწმებით დადასტურდა, რომ წველადობის გეგმები არასწორად იყო შედგენილი. მწველავ 6. ფუტკარაძის 24 ფური ჰყავდა მიმაგრებული, გეგმა კი 19 ფურზე ჰქონდა შედგენილი. არარეალური გეგმები ჰქონდათ მწველავებს ტ. ფუტკარაძეს, უ. ფუტკარაძის, ნ. ბერიძეს და სხვ. კონტროლიორებმა შემოწმების შედეგები განსახილველად პარტიულ კომიტეტში შეიტანეს. ფერმებში მწველავებზე არასწორი გეგმების დაშვებისა და აღრიცხვის საქმეში არსებული ნაკლოვანებებისათვის ფერმის გამგეს პარტიული სასჯელი დაედო.

იმაზე, თუ როგორ აღწევენ წარმატებებს, რა ფორმებსა და მეთოდებს იყენებენ მუშაობაში, როგორი საკითხების შემოწმება აქვთ გამიზნული, რა შედეგები მოჰყვა შემოწმებას და ვინ რა ღვაწლი დასდო საქმის, ეს ნათლად და საინტერესოდ არის ასახული სპეციალურ სტენდზე, რომელსაც „სახალხო კონტროლის კუთხე“ ჰქვია. მასზე გამოქვეყნებულ წერილებსა და შენიშვნებს ბევრი დაუფიქრებია, მათში ეუღლუტსა და შრომის თავისებურებებს საკუთარი სახე დაუნახავს. ერთი სიტყვით, ამ უბრალო სტენდს ნამდვილად აქვს ძალა. ჯგუფი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საჯაროობის არა მარტო ამ ფორმას, არამედ საზოგადოებრივი აზრის შემოქმედების სხვა საშუალებებსაც შემოქმედებითად იყენებს.

უდავოდ მნიშვნელოვანია ის წვლილი, რაც სასალხო კონტროლის ჯგუფს კოლმეურნეობის ეკონომიკის განმტკიცებაში. სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში, გეგმებისა და ვალდებულებების შესრულების საქმეში შეაქვს. ჯგუფის მთელი საქმიანობის ხელმძღვანელი და წარმმართველი მისი თავმჯდომარე მ. მაკარაძეა. ამიტომ იყო, რომ მისი შრომა სათანადოდ შეაფასეს: სახალხო კონტროლის ორგანოებში უმწიკლო და აქტიური მუშაობისათვის იგი სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის სამკერდე ნიშნით და საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის ინსპექტორი.

ჯ. აბვლედიანი.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის ინსპექტორი.

ვითომ ცუმროგით...

მიპატიებია

მაღაზიას მივაშურე,
ძეხვის ყიდვა მსურდა,
მოლარეს კვლავ დავავიწყდა
მოსაცემი ხურდა.
— მაპატიეთ, ხურდას
ველი, —
შევახსენე ფრთხილად.
— მიპატიებია, — თქვა და
გამიცინა ტკბილად.

სასამართლოზე

ერთი მუშტარი ჩივის:
— გუშინ სალამოს ბარში,
ბარმენმა ლუდით სავსე
კათხა მესროლა თავში.
ბარმენი ბრაზით ხედავს:
— მტკნარი სიცრუე
გახლავთ,
ვფიცავ, რომ არასოდეს
არ ამოვსია კათხა.

შ. ამირანაშვილი.

ა. ბანდელაკის ნახ.

✓✓ ბალეგის კონტროლიორთა რეიდი

გადაყრილი ათასეული

მასობრივი შემოწმების მასალებს განიხილავს საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტი

ჩნდა, და როგორც წუნდებული, ფაბრიკას 70,0 ათასი მანეთის საქონელი დაუბრუნდა. ასევე დაუბრუნდა პირველი მაისის სახელობის ფაბრიკას 115, სამკერვალო ფაბრიკა „ამირანს“ 100,5 ათასი მანეთის მამაკაცისა და ბავშვის პალტოები, კოსტიუმები, შარვლები, ქალის კაბები.

შეიძლება უხარისხო პროდუქციის გამოშვება ობიექტური მიზეზით ახსნას? რა თქმა უნდა, არა. რომელ ობიექტურ მიზეზებზე შეიძლება ლაპარაკი, როცა დაწუნებულ პროდუქციას, კერძოდ, ბავშვების შარვლებს დუგმა უკეთმა აკერია, ქალის პერანგების საყელოებში გამამაგრებლების ჩატანება დავიწყნიათ, რის შედეგად ეიფდად დგას და ღირიცება, ხოლო კაბების გვერდით ნაკერები მოჭიმულია და გასწორებისას ძაფები წყდება, ირღვევა. ერთი სიტყვით, ნამზადი ელემენტარულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. ბუნებრივია, ასეთი პროდუქცია არ საღდება.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ ჩატარებული შერჩევითი შემოწმების შედეგად და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მონაცემებით მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოების მიერ იმპორტული ქსოვილებიდან შეკერილი 2,5 მილიონი მანეთის ღირებულების საქონელი ჩაწოლილია და არ საღდება.

შემდეგ ნიმუშსა და დამზადებულ პროდუქციას შორის არაერთგვაროვნებაა აღარ არის, ხოლო სავაჭრო ორგანიზაციები დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ძალიერ ბევრ ზარალს ეფარებიან ხარისხიანი საქონელი მიიღონ.

გარდა იმისა, რომ ასეულ ათასობით მანეთის პროდუქცია აღარ საღდება, საწარმოები უხარისხო ნაწარმის გამოშვებისათვის ჯარიმებსაც იხდიან და ზარალს ზარალი ემატება. ყოველივე ამის შემდეგ იკარგება წარმოების ზრდა-განვითარებისათვის გამოყოფილი თანხები. მაგალითად, 1975 წელს პროდუქციის დაბალი ხარისხისათვის „ამსოიუზის“ სისტემის მიერ მიწოდებული უხარისხო პროდუქციის გამო სხვადასხვა ორგანიზაციებს 192,5 ათასი მანეთის ჯარიმა გადაახდევინეს.

აღსანიშნავია, რომ პროდუქციის ხარისხზე უარყოფით გავლენას ახდენს სავაჭრო საწარმოებში საქონლის მოვლა-პატრონობის დაბალი კულტურა, უვარგისი სასაწყობო მეურნეობა. მაგალითად, სარეიდო ბრიგადის შემოწმებით აღმოჩნდა, რომ თბილისის ცენტრალური უნივერმაღის ყველა საწყობი ნესტიანია, არ ხდება ჰაერის ცირკულაცია, ზოგი საქონელის სათავსოების უკმარისობის გამო ლია ცის ქვეშ აწყვია. ბევრგან საწყობებად გამოყენებულია ვიწრო, ბნელი და მოუხერხებელი სარდაფები, რომლებიც პროდუქციის სათანადოდ შენახვის ელემენტარულ მოთხოვნებსაც კი ვერ აკმაყოფილებს. ასეთ პირობებში საქონელი კარგავს პირვანდელ სახეს, ხარისხს და ფუჭდება.

ამას წინათ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა ვაჭრობის სამინისტროსთან ერთად შეამოწმა სავაჭრო ქსელი და საზოგადოებრივი კვების ობიექტებში შეზიდული პროდუქციის ხარისხის მდგომარეობა. მოუხედავად იმისა, რომ ამ საკითხს რესპუბლიკაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა და გარკვეული მუშაობა ხორციელდება, ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები და დარღვევებია. შარშან დაწუნებულ იქნა და ხელმორედ გადასამუშავებლად დაუბრუნა საწარმოებს 873 ტონა სხვადასხვა სახის პროდუქტები, 46,7 დეკალიტრი ღვინო, კონიაკი, ლუდი და უალკოჰოლო სასმელები, 201,8 ათასი ცალი კვერცხი. ყოველივე ამის გამო სახელმწიფომ მნიშვნელოვანი ზარალი ნახა.

შემოწმების დროს თბილისის რძის კომბინატში (მთავარი ინჟინერი ზ. ცქიტიშვილი) რძისა და რძის პროდუქტების 285 ნიმუშიდან 58 არ შეესაბამებოდა სტანდარტს, თბილისის ხორცის კომბინატში (მთავარი ინჟინერი ა. დავითაშვილი) — 102 ნიმუშიდან 34. უსტანდარტო აღმოჩნდა ამ ორგანიზაციების პროდუქციის ნაწილი 1976 წლის დეკემბერში შემოწმების დროსაც. უხარისხო პროდუქციის გაშშვების შედეგად მიღებულმა ზარალმა შარშან 11 თვეში თბილისის ხორცკომბინატში 10,8 ათასი მანეთი, ხოლო რძის კომბინატში 1,9 ათასი მანეთი შეადგინა.

მასობრივი შემოწმების შედეგები განიხილა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა. პროდუქციის გამოშვებაზე არასათანადო კონტროლის დაწესებისათვის ხორცისა და რძის კომბინატების მთავარ ინჟინერებს ა. დავითაშვილს და ზ. ცქიტიშვილს თითო თვის ხელფასის ფულადი დარიცხვა დ

საქართველოს ქთა-ბარში

სკოლის ახალმოსახლეობა

ქობულეთი (საკ. კორ.). სოფელ დაგვაში კოლმეურნეობის თანხებით აშენდა სკოლის სამსართულიანი შენობა. იგი რაიონის საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო სამმართველომ ააგო.

შენობაში ერთდროულად იმეშვიდეს ქართული და რუსული სკოლები. მოსწავლეთა განკარგულებაშია ნათელი საკლასო ოთახები, ლაბორატორიები, სპორტული დარბაზები.

იმრავლოს!

მრავალშვილიანთა სოფელი

ცხაკაია. (საკ. კორ. ბ. მილიუტინი), ეკი რაიონის ერთ-ერთი ძველი და ლამაზი სოფელია. აქ ბევრი შრომისმოყვარე, მრავალშვილიანი დედა ცხოვრობს. გმირმა დედამ ლუბა სიჭინავამ 13 შვილი ვაზარდა. 8 შვილი ჰყავს ჭ. ხუნჯუას, მათ შორის ერთი ტრაქტორისტია, მეორე — მეჩიე, მესამე — მეკვნახე, მეოთხე — ძძღოლი, მეხუთე — მშენებელი მუშა და სხვ. ნ. აფხაზავა ექვს შვილს ზრდის. მრავალშვილიანები არიან ლ. ცხვიტავა, ლ. კარკაღლია, თ. ადამია, ა. ბუნია, ლ. კაცია და სხვები.

კიდევ ერთი ტანკერი

ბათუმი. (საკ. კორ. მ. გორგილაძე). საქართველოს სანაოსნოს ტანკერების დიდ ოჯახს კიდევ ერთი ახალი ტანკერი შეემატა, რომელს სახელწოდებაა „კომანდორი ფედკო". იგი ხერსონელმა გემთმშენებლებმა ააგეს.

„კომანდორი ფედკო" ახალი სერიის ტანკერების პირველი სათაო გემია. მისი სიგრძე 178 მეტრია, წყალწყვა — 10 ათასი ტონა, ძალოვანი დანადგარის სიმძლავრე — 10 ათასი ცხენის ძალა. ხომალდი აღუურვილია ნავიგაციის თანამედროვე საშუალებებით.

გაიხსნა კაფე „ახალგაზრდული"

ონი. (საკ. კორ.) ქალაქის ცენტრში გაიხსნა კეთილმოწყობილი, კაფე „ახალგაზრდული".

პირველ დღეს კაფეში რაიონის ბევრმა ახალგაზრდა აქტივისტმა მოიყარა თავი. გაიმართა ახალი ობიექტის საზეიმო გახსნის ცერემონიალი. „ახალგაზრდულის" მწყობრში ჩადგომა მშრომელებს მიეულოცა რაიონული საბჭოს დეპუტატმა, ვეტერანმა კომკავშირელმა ხ. გობეჯიშვილმა.

ეს საინტერესოა

პირველი ლანდშაფტური რუკა

მეტად საინტერესო მუშაობას ეწევიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვ. ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიული ინსტიტუტის ლანდშაფტმცოდნეობის ლაბორატორიის მეცნიერი მუშაკები, ისინი აღმოაჩენენ ტერიტორიის სამუალომასშტაბიან ლანდშაფტურ რუკას ადგენენ. ნავარაუდევია ეს სამუშაო 1978 წელს დასრულდეს.

ამ რუკას დიდი სამეურნეო და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მისი საშუალებით ჩვენ შესაძლებლობა გვექნება გავიგოთ, თუ როგორი ბუნებრივ-ტერიტორიული თავისებურებებია ამა თუ იმ რაიონში, რა მდგომარეობაა ჰავისა და ნიადაგის თვალსაზრისით. რუკის შედგენაში მონაწილეობენ აგრეთვე მოძმე რესპუბლიკების — აზერბაიჯანისა და სომხეთის მეცნიერებათა აკადემიების გეოგრაფიის ინსტიტუტების სათანადო განყოფილებანი, რომლებსაც მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევს გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დ. უკლება.

აღსანიშნავია, რომ დ. უკლებას ხელმძღვანელობით ლანდშაფტმცოდნეობის ლაბორატორიის თანამშრომლებმა 1970 წელს შეადგინეს საქართველოს ლანდშაფტური რუკა, რაც პირველი იყო საკავშირო მასშტაბით.

როგორც პროფესორმა დ. უკლებამ აღნიშნა, ჩვენი რესპუბლიკის ზოგ მთიან რაიონში უკვე განხორციელდა საველე-კვლევითი სამუშაოები, რომელის დროსაც დადგინდა ძირითადი ოროგრაფიული — დიდი მიუბის. ხეობების ერთიულების: ლანდშაფტური ზონებისა და სარტყლების (ალპური, სუბალპური) გავრცელების კანონზომიერებანი. შესწავლილია ანთროპოგენური ზემოქმედებით გამოწვეული ცვლილებანი. კაკეასიონის ქედი ერთ-ერთი ყველაზე დიდი ოროგრაფიული ერთეულია მსოფლიოში. მოპოვებულია მდიდარი ინფორმაციული მასალა, რომელიც გამოყენებული იქნება ლანდშაფტური რუკის შედგენისას.

ზ. ქინქლაძე.

ბოფრინდნენ ფორეთიდან



სითბოსაკენ, სამხრეთის ეზისაკენ...

ზამთრობით აქარასა და აფხაზეთში ათასობით მძლევარი ფრინველი ჩამოფრინდება ხოლმე, რომლებიც წლის ამ დროს ატარებენ სამხრეთში, სადაც ალერსიანი მზე ანათებს.

ახლა საზღვაო ნავსადგურების აკვატორიაში შავი ზღვის ქაფშიის გუნდების შემოსვლასთან ერთად გამოჩნდა ბევრი თოლია, რომლებიც თევზით იკვებებიან. ზამთარს აქვე ატარებენ შვეიცარიისა და ნორვეგიის ტბების ბინადარნი — ჩომგები — გარეგნულად მეტად ლამაზი წყალში მცურავი ფრინველები. სამხრეთში მოფრინდნენ მგალობელი ფრინველებიც — ჩრდილოეთის ტყეების ბინადარნი.

სურათებზე: (მარცხნივ) თოლიების გუნდი სოხუმის ნავსადგურის აკვატორიაში; (მარჯვნივ ზემოთ) აქ გადმოსახლებულა ოლოლიც. ამ ერთ-ერთ იშვიათ ფრინველს აქარის შავ-ი ზღვის ხანაპიროზე შეხვდებით; (ქვემოთ) შვეიცარიიდან ჩამოფრენილი ლამაზი ჩომგა.

ნ. ანასტასიმოვისა და ი. ბოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ბრინჯაოს მედლები — დინამოელებს

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში საზეიმო ვითარებაში გაიმართა 39-ე საკავშირო ჩემპიონატის (შემოდგომის) ბრინჯაოს პრიზიორის — თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის დაჯილდოება.

ჩემპიონატის მესამე პრიზიორს გულთბილად მიესალმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსის შოადგილე ელდიმერ ივანოვი, რომელმაც დინამოელებს ბრინჯაოს მედლები, მესამე ხარისხის დიპლომები და ვიმპელები გადასცა.

აი ვინ დამსახურა ჯილდოები: სპორტის ოსტატებმა დ. გოგიამ, ნ. ხიზანიშვილმა, ფ. კანთელაძემ, ზ. ებრალიძემ, შ. ხინჩაგაშვილმა, დ. მუჯირმა, ა. ჩივაძემ, მ. მაჩაიძემ, ვ. ქორიძემ, რ. ხელებაძემ, ვ. დარასელიამ, ვ. კოპალეიშვილმა, ზ. წერეთელმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებმა დ. ყიფიანმა და ვ. გუცაევმა.

ჩაკრაკი

7,5 ქულა 8 შესაძლებლიდან

წარმატებით ასპარეზობს ჰოლანდიის ქალაქ ვეიკ-ან-ზეეს ქალთა საერთაშორისო ტურნირზე ქართველი მოჭადრაკე ნანა ალექსანდრია. ბოლო ტურებში მან კიდევ ორი, რიგით მეექვსე და მეშვიდე გამარჯვება მოიპოვა მასპინძლებთან ვან პარერენთან და ვან დერ გისენთან.

ნ. ალექსანდრიას ახლა 7,5 ქულა აქვს 8 შესაძლებლიდან და ლიდერობს ტურნირს.

სამი ტურნირი

ვეიკ-ან-ზეეს დიდოსტატთა ტურნირს სათავეში უდგას ჰოლანდიელი მოჭადრაკე სოსენკო — 6 ქულა 8 შესაძლებლიდან. საბჭოთა დიდოსტატს, გელერსა და იუგოსლაველ კურაიცას 5,5 ქულა აქვთ თვითეულს.

ამავე ქალაქში მიმდინარე ოსტატ ვაჟთა ტურნირის ლიდერია საბჭოთა მოჭადრაკე კუპერეიჩი. 8 ტურის შემდეგ მას 6,5 ქულა აქვს.

ბელგრადის ტურნირში დაწყაურდა მატულოვიჩი (იუგოსლავია) — 4,5 ქულა 6 შესაძლებლიდან. საბჭოთა მოჭადრაკეს სუეტინს 2,5 ქულა და ორი გადადებული პარტია აქვს.

ჰ. ცინცაძე

გარდაიცვალა ცნობილი ფიზიკოსი, სკკპ წევრი 1904 [illegible] ლობის პერსონალური პენსიონერი კონსტანტინე (კოსტა) გლახუნის-ძე ცინცაძე.

იგი დაიბადა 1882 წელს სოფელ ზემო-ფარცხმაში (ჩოხატაურის რაიონი), ღარიბი გლეხის ოჯახში. მამით ადრე დაობლებული იძულებული შეიქნა მუშაობა დაეწყო. მოჯამაგირედ, შემდეგ კი ემუშავა ერძო ხელოსანთან.

კ. ცინცაძე ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა დაუკავშირდა მეფის თვითმპყრობელობის მიერ როტშილდის ქარხნიდან დევნილ მუშებს, რომლებმაც სოფლად არალეგალური რევოლუციური მუშაობა გააჩაღეს არსებული წყობილების წინააღმდეგ. კ. ცინცაძემ სწორედ აქ მიიღო პირველი რევოლუციური ნათლობა.

კ. ცინცაძე ნასაკრალის 1905 წლის რევოლუციური ბრძოლების აქტიური მონაწილეა. რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ სხვა ბოლშევიკებთან ერთად გადადის არალეგალურ რევოლუციურ მუშაობაზე. მეხუთეკური მთავრობის წინააღმდეგ 1919 წელს ჩოხატაურში მოწყობილ აჯანყებაში მონაწილობისათვის იგი დაუპატიმრეს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კ. ცინცაძე იყო რაიონის დროებითი რევოლუციური კომიტეტის წევრი, შემდეგ მუშაობდა ფარცხმის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, მთელ ძალღონეს ახმარდა სოფლად საკოლმეურნეო ცხოვრების დამკვიდრებისა განმტკიცებას. ოცდაათიანი წლების შემდეგ მუშაობდა ჯერ მახარაძის, შემდეგ ჩოხატაურის რაიონსაბჭოების აღმასკომების ინსტრუქტორად, მერე — სხვადასხვა პასუხსაგებ სამეურნეო თანამდებობებზე. დაჯილდოებული იყო ლენინისა და ორი შრომის წითელი დროშის ორდენებით, მრავალი მედლით.

უმწიკლო ადამიანის, უშიშარი რევოლუციონერის, შესანიშნავი მოქალაქის, პარტიისა და ხალხის ერთგული შვილის კონსტანტინე ცინცაძის ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

ქართული სცენის ოსტატი

ი. კობალაძის დაბადების 70-ე წლისთავის გამო



საქართველოს სსრ სახალხო არტისტის იუსუფ კობალაძის სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართული საბჭოთა თეატრის განვითარების გზასთან, ვის მიღწევებსა და გამარჯვებებთან. ვისაც კი თუნდაც ერთხელ უხილავს იგი სცენაზე, არასოდეს დაივიწყოს მისი ხელოვნება, მაღალნიჭიერება, ოსტატობა.

თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის სტუდიაში აჭარიდან ბუსუფმა პირველმა შეაღო კარი, ჯერ როგორც მსმენელმა, შემდეგ, როგორც რუსთაველის თეატრის მსახიობმა.

1937 წლის მარტში ბათუმში პროფესიული ქართული თეატრი გაიხსნა. ამდენად ი. კობალაძე მთავარ როლებს ასრულებს ამ თეატრის ცნობილ დადგმებში — „ურიელ აკოსტაში", „ოიდიპოს მეფეში", „ქიკვიძეში", „მოკვეთილში", „ოტელოში" და ბევრ სხვა სპექტაკლში, რომლებმაც დიდი აღიარება ჰპოვეს.

მშობლიური თეატრის სცენაზე გაიმართა ი. კობალაძის დაბადებიდან 70-ე წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო, რომელიც გახსნა აჭარის ასსრ კულტურის მინისტრმა ლ. ბოლქვადმ. მსახიობის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მოხსენებით გამოვიდა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ჯ. ჩხეიძე. იუბილარს საქართველოს კულტურის სამინისტროს, თეატრალური საზოგადოების, თბილისის ინტელიგენციის სახელით მიესალმნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტები დ. ალეკსიძე, ა. ჩხარტიშვილი, საქართველოს სახალხო არტისტები ე. ბაგრატიონ-ყაზახი, ბ. ზაქარიაძე, დ. ჭიჭინაძე, რეჟისორი რ. სტურუა, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, გამომცემლობა „ხელოვნების" დირექტორი ო. ეკაძე, კოლეგები, აჭარის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა წარმომადგენლები და სხვ. იუბილარის მონაწილეობით წარმოადგინეს სპექტაკლების „ოიდიპოს მეფის", „ოტელოს" „ქიკვიძის" სცენები.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ქართული ოსტატი

საქართველოს სსრ სახალხო არტისტის იუსუფ კობალაძის სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართული საბჭოთა თეატრის განვითარების გზასთან, ვის მიღწევებსა და გამარჯვებებთან. ვისაც კი თუნდაც ერთხელ უხილავს იგი სცენაზე, არასოდეს დაივიწყოს მისი ხელოვნება, მაღალნიჭიერება, ოსტატობა.

თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის სტუდიაში აჭარიდან ბუსუფმა პირველმა შეაღო კარი, ჯერ როგორც მსმენელმა, შემდეგ, როგორც რუსთაველის თეატრის მსახიობმა.

1937 წლის მარტში ბათუმში პროფესიული ქართული თეატრი გაიხსნა. ამდენად ი. კობალაძე მთავარ როლებს ასრულებს ამ თეატრის ცნობილ დადგმებში — „ურიელ აკოსტაში", „ოიდიპოს მეფეში", „ქიკვიძეში", „მოკვეთილში", „ოტელოში" და ბევრ სხვა სპექტაკლში, რომლებმაც დიდი აღიარება ჰპოვეს.

მშობლიური თეატრის სცენაზე გაიმართა ი. კობალაძის დაბადებიდან 70-ე წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო, რომელიც გახსნა აჭარის ასსრ კულტურის მინისტრმა ლ. ბოლქვადმ. მსახიობის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მოხსენებით გამოვიდა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ჯ. ჩხეიძე. იუბილარს საქართველოს კულტურის სამინისტროს, თეატრალური საზოგადოების, თბილისის ინტელიგენციის სახელით მიესალმნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტები დ. ალეკსიძე, ა. ჩხარტიშვილი, საქართველოს სახალხო არტისტები ე. ბაგრატიონ-ყაზახი, ბ. ზაქარიაძე, დ. ჭიჭინაძე, რეჟისორი რ. სტურუა, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, გამომცემლობა „ხელოვნების" დირექტორი ო. ეკაძე, კოლეგები, აჭარის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა წარმომადგენლები და სხვ. იუბილარის მონაწილეობით წარმოადგინეს სპექტაკლების „ოიდიპოს მეფის", „ოტელოს" „ქიკვიძის" სცენები.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ფარეოლოგიური ნაპოვნი

ცაგერი. (საკ. კორ.). რაიონული ცენტრის აღმოსავლეთით, მურის ხიდის მშენებლობისას, მდინარე ცხენისწყალის მარცხენა სანაპიროზე გამიშვლდა უძველესი ნამოსახლი და საგვარეულოსაოჯახო საფლავები. მტვირთავი ამწის ციცხემა მიწის სიღრმიდან ამოიტანა ერთ-ერთი ქვევრ-სამარხი, რომელშიც აღმოჩნდა ადამიანის ჩონჩხი და სხვადასხვა ნივთები — თიხის ბრტყელტუჩა დოქი, ბრინჯაოს სამაჯური, ვერცხლის კოლხური მონეტა, ოქროსა და ბრინჯაოს ბეჭდები.

ნამოსახლის ტერიტორიაზე ნაპოვნია სხვადასხვა ზომის რკინის საბრძოლო იარაღები — ფოთლოვანი და პრიმიტიული ფორმის შუბის წვერები.

არქეოლოგიური ნაპოვნი ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს გადაეცა.

□

„ყიგული" — ლაგაჩიის ბიდეთით

ამბროლაური. (საკ. კორ.). რაიონის საავადმყოფოს სასწრაფო დახმარების მძღოლმა თ. ბედენაშვილმა ამ დღეებში ქალაქის ცენტრალურ შემხვედელ სალაროში წარადგინა საქართველოს სსრ ფულისა და ნიეთების 1976 წლის მეთორმეტე გამოშვების 36345 სერიის № 308 ლატარიის ბილეთი, რომელსაც მოგებად ხვდა ავტომანქანა „ყიგული" — 2103.

ბოლქოლი

ჯაჭვი. (საკ. კორ.). ბ. ბოლქოლი ბ. ბ. ბ.